ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 18 ივლისი, 2022 | №139 (8917) | ფასი: 80 თეთრი

## თბილისში ჯგუფურად პროსტიტუციის ხელშეწყობისა და პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე 9 პირი დააკავეს

გვ.5



# „გოგაშვილი რეალურ დანაშაულზე მაშინ გასამართლდება, როცა ეს ხელისუფლება შეიცვლება“



გია ხუხაშვილი: „ის, რაც დღეს გოგაშვილის გარშემო ხდება, ფარსია. ეგ არ არის ის კაცი, კარგ შეთავაზებას არ დათანხმდეს“



გვ.2

## „გოგაშვილმა ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძა და წესიერი კაცი გახდა — ეს არასერიოზულია“

მალხაზ მაჩალიკაშვილი: „მოაწყვეს სპექტაკლი, აიყვანეს, ახლა ჰყავთ სუს-ში და იქ მიმდინარეობს პირდაპირ ქურდული საქმის გარჩევა“

გვ.3

## „გოგაშვილის დაკავება თემირლანის საქმესთან მიგვიყვანს“



გვ.4



## რატომ გააფართოვა „ქართულმა ოცნებამ“ დასავლეთის წინააღმდეგ მოიერიშე ჯგუფები

ანონსდება საქართველოს ახალი კურსი

## „არ გვინდა, სიჩქარეში რეფორმების გატარების კუთხით რამე შეგვეშალოს“



გვ.4

გიორგი ცაგარეიშვილი: „უსამართლობა მოხდა, როდესაც უკრაინასა და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭეს, საქართველოს კი — არა“

## ნიკა გვარამიასადმი სასჯელის მიკუთვნების შემდეგ ლაშა ჩხიკვაძე აშშ-ში წამსვლელთაგან ამოიღეს

გვ.5



## ნიკა გვარამია: „სასამართლოში კლანის წინააღმდეგ ბუნტია“



## ირაკლი ღარიბაშვილის რეგიონული პოლიტიკის მნიშვნელოვანი შედეგი — თბილისში აზერბაიჯან-სომხეთის პირველი შეხვედრა შედგა

გვ.3



1993230720223

2 **პრემიერი:** „მთავრობის პრიორიტეტია, რომ მთას განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭოთ“

6 ევროპაში ტყის ხანძრებს ებრძვიან - ევაკუირებულია ათასობით ადამიანი

4 ხორბლის ფასი საგრძნობლად შემცირდა

6 **ზელენსკი:** „ჩვენ გავუძლებთ, ჩვენ გავიმარჯვებთ“

# „გოგაშვილი რეალურ დანაშაულზე მაშინ გასამართლდება, როცა ეს ხელისუფლება შეიცვლება“

## გია ხუხაშვილი: „ის, რაც დღეს გოგაშვილის გარშემო ხდება, ფარსია. ეგ არ არის ის კაცი, კარგ შეთავაზებას არ დათანხმდეს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.**

***– ბატონო გია, რა ხდება, შიდა გარჩევები და ანგარიშსწორება დაიწყო „ქართულ ოცნებაში“? სხვადასხვაგვარი შეფასება მოჰყვა გოგაშვილის დაკავებას. თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?***

– გასაგებია, რომ გოგაშვილის საქმეს არანაირი სამართლებრივი საფუძველი არა აქვს. მიმდინარე საქმეზე ვამბობ, თორემ გოგაშვილს, სავარაუდოდ, ბევრი დანაშაული აქვს ჩადენილი, ბევრად უფრო მძიმე, ვიდრე ახლა აქვს მუხლები წაყენებული. საქმე ისაა, რომ გოგაშვილი სისტემის სახელით ჩადიოდა სისტემურ დანაშაულს. დღევანდელი ხელისუფლება ამ დანაშაულის თანამონაწილეა.

***– ანუ ხელისუფლების დაკვეთით ჩადიოდა ამ დანაშაულებს?***

– ძალიან ძნელად დასაჯერებელია, რომ გოგაშვილი თავისი ინიციატივით ჩადიოდა, სპეცსამსახურების უფროსის მოადგილის რანგში, დანაშაულს, ისე, რომ ის ადამიანები, რომლებიც ახლა მას ასამართლებენ, საქმის კურსში არ იყვნენ. ეს ხომ აბსურდია! ეს მათი საერთო დანაშაულია და ახლა შიდა გარჩევები აქვთ, რაღაცა ვერ გაიყვეს. შესაბამისად, ეს მისი საქმე ერთგვარი ფარსია. პირდაპირი ინტერესთა კონფლიქტი აქვს ამ ხელისუფლებას გოგაშვილთან დაკავშირებით. ქვეყანას, სადაც ადამიანს არა სისტემური დანაშაულისთვის, არამედ ამ სისტემური დანაშაულის მხილებისთვის ასამართლებენ, პერსპექტივა არა აქვს!

დღეს ჩვენ ვსაუბრობთ რეჟიმზე, თანამედროვე სახელმწიფოზე კი არა. ვსაუბრობთ რეჟიმზე, რომელშიც ხალხს ასამართლებენ არა დანაშაულისთვის, არამედ ამ დანაშაულის მხილებისთვის. გოგაშვილი რეალურ დანაშაულზე გასამართლდება მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვლება. პარადოქსია, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლება არ არის დაინტერესებული მისი გასამართლებით. სანამ ის სისტემას ემსახურებოდა და ეჭვმიტანილი იყო სისტემურ დანაშაულში, მანამდე არათუ თანამდებობაზე ჰყავდათ, არამედ ფულიც აშოვნინეს, წელში გამართეს.

***– ვიცით, საიდან მოვიდა და დღეს რა ქონებას ფლობს.***

– დიახ, ასეა. როდესაც მან სისტემის მხილება დაიწყო, აი, აქ უკვე გაჩნდა პრობლემა და სისტემამ დაიწყო მასზე ზეწოლა. რა თქმა უნდა, ეს არის შიდა გარჩევები. ამას სამართლებრივ პროცესთან არანაირი კავშირი არა აქვს.

***– მალხაზ მაჩალიკაშვილს ვესაუბრე და მანაც ეს თქვა, განა ჩემი შვილის დანაშაულისთვის დაიჭირეს, საქმეს გაურჩევენო.***



„გოგაშვილმა ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძა და წესიერი კაცი გახდა – ეს არასერიოზულია“

– რა თქმა უნდა, გაურჩევენ. მაღალი ალბათობით, რაღაცაზე მოილაპარაკებენ კიდეც. მსუბუქი დანაშაულის მუხლით ან გამოუშვებენ, ან რაღაცას მიუსჯიან.

***– მისი თანდასწრებით ჩატარდა ჩხრეკა, საკმაოდ დიდხანს დატოვეს ბინაში. ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა ამ ყველაფერმა.***

– ეძებდნენ სისტემის მამხილებელ დოკუმენტებს. ეს გასაგებია. ჩხრეკა ტარდებოდა იმიტომ, რომ ხელისუფლებას დანაშაული კი არ აღმოეჩინა, პირიქით, დაეფარა. თუ რამეს სისტემის მამხილებელს იპოვიდნენ, ის უნდა გაენადგურებინათ. სრულ აბსურდში ვართ.

***– ალბათ გოგაშვილიც, თავის მხრივ, ვაჭრობდა ხელისუფლებასთან, როდესაც წინასწარ აკეთებდა განცხადებას, რომ მასალებს გამოაქვეყნებდა.***

– ის მარტო მაშინ კი არ ვაჭრობდა, დღესაც აგრძელებს. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ გოგაშვილს სისტემის მხილებასთან დაკავშირებით მოქალაქეობრივი ვალდებულება ალაპარაკებს. მას ალაპარაკებს საკუთარი ამბიციები და საკუთარი ინტერესი, მეტი არაფერი. როდესაც ადამიანი საკუთარი ინტერესით მოქმედებს, მასთან მოლაპარაკება ყოველთვის შეიძლება ამა თუ იმ პირობებზე.

***– მამხილებელ მასალებს ეძებდნენო და, როგორ ფიქრობთ, მასთან მოლაპარაკებას შეძლებენ ან მამხილებელ მასალებს ამოიღებენ?***

– 21-ე საუკუნეში მასალების ამოღება სრული აბსურდია. რანაირად უნდა ამოიღო? მასალა რომ გაქვს, შეგიძლია, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დადო კვერცხი სულ რაღაც 15 წუთის განმავლობაში, დღევანდელი ტექნოლოგიები ისე მოქმედებს. ასე რომ, იმის მოლოდინი, რომ რამეს უპოვიდნენ, მე-19 საუკუნის მიდგომაა, ქაღალდებს რომ უპოვიდნენ, გაანადგურებდნენ და მორჩა, ასე აღარ ხდება. ფრთიანი ფრაზა რომ გამოვიყენოთ, ხელნაწერები აღარ იწვის. ასე რომ, ეს ჩხრეკაც კომიკურია. ერთადერთი, ჩხრეკის დროს რაც მოახერხეს, სავარაუდოდ, ის არის, რომ იარაღი ჩაუდეს და ფორმალური საფუძველი შექმნეს, რომ დაეპატიმრებინათ, მეტი არაფერი.

***– რამდენად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს დღეს გოგაშვილი სისტემისთვის?***

– ის საკმაოდ სერიოზული ინფორმაციის მატარებელია, გამომდინარე იქიდან, რომ იყო იმ სამსახურის მაღალჩინოსანი, სადაც ბევრი უკანონობა ხდებოდა მაშინაც და ახლაც გრძელდება. მარტო უკანონო მოსმენების თემა რად ღირს, რაც, ვიცით, რომ სისტემური დანაშაულია. ამწუთას მე და თქვენ რომ ვლაპარაკობთ, ამასაც უსმენენ. ჩვენ ახლა ონლაინში, დანაშაულის ფონზე ვლაპარაკობთ. იმ დანაშაულზე კი გოგაშვილს არათუ წვდომა ჰქონდა, არამედ თვითონ ახორციელებდა მას. აქედან გამომდინარე, შეიძლება რაღაც სამართლებრივ პროცესზე ლაპარაკი?! რა თქმა უნდა, არ შეიძლება.

***– იარაღის ჩადება ახსენეთ და ბევრმა უკვე ასეთი ინტერპრეტაცია მისცა ამ ყველაფერს, რომ შესაძლოა გოგაშვილმა პოლიტპატიმრის სტატუსიც კი მიიღოს. რას ფიქრობთ ამ საკითხზე?***

– პოლიტპატიმრის სტატუსი ყურს ჭრის, როცა გოგაშვილზე ვლაპარაკობთ. რა პოლიტპატიმარი, ყველა ამას ამბობს, მაგრამ, თუ პოლიტპატიმრის დეფინიციას გავითვალისწინებთ, შეიძლება, ის აღმოჩნდეს ამ სტატუსში და აგიხსნით, რატომ. პოლიტპატიმარი არ ნიშნავს უდანაშაულოს. შეიძლება ადამიანს ძალიან მძიმე დანაშაულიც ჰქონდეს ჩადენილი და არაერთი, მაგრამ, თუ ის სამართლდება არა ამ მძიმე დანაშაულზე, არამედ დანაშაულის გამო, რომელიც არ ჩაუდენია, მაშინ ის მაინც პოლიტპატიმარია. თქვენ წარმოიდგინეთ და მკვლელმაც კი შეიძლება მიიღოს პოლიტპატიმრის სტატუსი, თუ მისი კანონიერი უფლებები ირღვევა რაღაც პოლიტიკური ინტერესის გამო. ასე რომ, კლასიკური დეფინიციით, შეიძლება, ის ჩაითვალოს პოლიტპატიმრად, თუმცა, ვიცით რა, ვინ არის გოგაშვილი, ძალიან მძიმეა ამაზე საუბარი.

***– ბატონო გია, თავადაც ბრძანეთ, რომ მას სახელმწიფო ინტერესი და ქვეყნის კეთილდღეობა არ ამოძრავებდა, როდესაც სისტემას დაუპირისპირდა. ვინ იდგა მის ზურგსუკან, როდესაც ამაზე მიდიოდა, ზურგს ვინ უმაგრებდა?***

– ადამიანები უცბად არ ხდებიან წესიერები. თუ ის ხელისმომწერი იყო ადრე იმ დანაშაულზე, რომელსაც მანამდე ჩადიოდა, ერთ მშვენიერ დღეს ვერ გახდებოდა ღირსეული მოქალაქე. ის, რომ გოგაშვილმა ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძა და წესიერი კაცი გახდა, არასერიოზულია. დიდი ბოდიში და, მურუსიძის არ იყოს, ხელისუფლება რომ გვიმტკიცებს, სავლესგან პავლე შევქმენითო, არ ხდება ასე.

***– გოგაშვილი სხვა მხარეს გადავიდა. ვინ უმაგრებდა ზურგს?***

– არ ვიცი. შესაძლოა, თვითონ არის ამბიციური, კიდევ რაღაცას ითხოვდა.

***– წარმოუდგენელია რომ ის მარტო დაპირისპირებოდა სისტემას, გარანტიების გარეშე.***

– ეს არის ისეთი დეტალები, რომ მე ამაში ვერ შევალ. მე მესმის თქვენი ჟურნალისტური ინტერესი, მაგრამ სახელმწიფოსთვის ყველა შემთხვევაში ეს არის დიდი სიმახინჯე, რაც ამ ისტორიაში ხდება. აქედან გამომდინარე, მისი მოტივები ჩემთვის საინტერესო აღარ არის.

***– დაკავების მიუხედავად, წავა ბოლომდე გოგაშვილი, გაასაჯაროებს ამ ინფორმაციებს? ადვოკატი აცხადებს, რომ უკვე ქვეყნის გარეთ არის ეს ინფორმაციები.***

– მაინც სკეპტიკურად შევხედავდი. მაღალი ალბათობით, მგონია, რომ რაღაცაზე მოილაპარაკებენ. ერთმანეთის ენა კარგად იციან. ეს ხომ ჩვეულებრივი მაფიოზური გარჩევაა, ახლა რაც მათ შორის მიდის. მაფია რომ ჯდება სალაპარაკოდ, რაღაცაზე თანხმდებიან. გოგაშვილი არ არის ის კაცი, რომელიც რამე კარგ შეთავაზებას არ დათანხმდება.

***– ალბათ რამდენი სიბინძურე იმალება, რომლებიც ჯერ არ გამოსულა სააშკარაოზე და საზოგადოებამ არ იცის.***

– რა თქმა უნდა, აბა რატომ დაიჭირეს ასე უცბად. ჩემი ინფორმაციით, ის აპირებდა ქვეყნიდან გასვლას, უცხოეთის შესაბამის სტრუქტურებთან შეხვედრასა და მათთვის იმ მამხილებელი დოკუმენტების წარმოდგენას, რომლებიც აქვს. ხელისუფლება იძულებული გახდა, დაესწრო რამდენიმე საათით და დაეჭირა. რამდენადაც ვიცი, როცა დაიჭირეს, სწორედ იმ ღამეს მიდიოდა ქვეყნიდან.

***– მაშინ, უნდა გაეთვალა და წინასწარ არ უნდა გაეკეთებინა მსგავსი განცხადებები, თუ ვაჭრობდა და ვერ მოილაპარაკეს?***

– რომ ვერ გათვალა, ეს უკვე მისი პრობლემაა. რა უნდა გაეთვალა. მის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე მაინცდამაინც მაღალი აზრის არ ვარ. ის, რაც დღეს გოგაშვილის გარშემო ხდება, ფარსია და მეტი არაფერი. გოგაშვილის გასამართლების დრო ამ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ დადგება.

# პრემიერი: „მთავრობის პრიორიტეტია, რომ მთას განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭოთ“

– გვინდა, რომ დავამკვიდროთ მთის კვირეული იმისთვის, რომ ყოველწლიურად ტრადიციულად გაიმართოს მთაში მთის კვირეული და აღვნიშნოთ ჩვენი ერთ-ერთი გამორჩეული სიამაყე, მთის დღეები.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ომალოში, მთის კვირეულის ფარგლებში გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, სადაც მთავრობის მეთაური მეუღლესთან, ნუნუკა თამაზაშვილთან ერთად იმყოფებოდა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მთავრობის პრიორიტეტია, რომ მთას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს.

– ჩემთვის დიდი პატივია, რომ დღეს აქ ვიმყოფები თქვენთან ერთად. მივესალმები პარლამენტის თავმჯდომარეს, პარლამენტისა და მთავრობის წევრებს და ჩვენს ძვირფას თუშებს. მინდა განსაკუთრებული სიყვარულით მოგესალმოთ ყველას, ძვირფასო თუშებო და მოგილოცოთ დღევანდელი დღე. დღეს ჩვენ აღვნიშნავთ თუშეთობას და სიმბოლურად სწორედ თუშეთში ვიწყებთ მთის კვირეულს.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ინიციატივით, გვინდა, რომ დავამკვიდროთ მთის კვირეული, იმისთვის, რომ ყოველწლიურად ტრადიციულად გაიმართოს მთაში მთის კვირეული და აღვნიშნოთ ჩვენი ერთ-ერთი გამორჩეული სიამაყე, მთის დღეები. ამ არაჩვეულებრივ ადგილას, თუშეთში, ჩვენი სურვილია, რომ ძალიან ბევრი დამსვენებელი, ბევრი ტურისტი ჩამოვიდეს. ჩვენი მთავრობის პრიორიტეტია, რომ მთას განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭოთ. რა თქმა უნდა, საჭიროა მეტი ინვესტიციების განხორციელება მთაში, მეტი ყურადღების მიქცევა. ამისთვის, ჩვენ, გახსოვთ, რომ რამდენიმე წლის წინ მთის კანონიც მივიღეთ, დაწესდა მთელი რიგი შეღავათები მთაში მცხოვრებთათვის, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი. ჩვენ კიდევ უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ, კიდევ უფრო მეტად უნდა მოვუაროთ მთას, ჩვენს სიამაყეს და კიდევ ერთხელ მინდა, რომ ყველა მთაში მცხოვრებ ადამიანს მადლობა გადავუხადო, ჩვენს მოქალაქეებს.



ეს არის ნამდვილი გმირობა, როდესაც ჩვენი მოქალაქეები ცხოვრობენ ამ ულამაზეს ადგილას და იცით, რომ მთელი 6-7 თვე აქ იკეტება მოძრაობა და ზამთრის პერიოდში გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ ვერტმფრენით. მინდა ჩვენს თუშებს განსაკუთრებული სიყვარულით კიდევ ერთხელ მოგესალმოთ, მოგილოცოთ თუშეთობა და გისურვოთ მშვიდობა, წარმატება და კეთილდღეობა, – განაცხადა პრემიერმა.



მთის კვირეული თუშეთში, ყაზბეგში, სვანეთსა და რაჭაში საქართველოს მთავრობის და უშუალოდ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით იმართება. წელს პირველად, ფესტივალის ფარგლებში ხინკლის დღეები მოეწყო. მოქალაქეები გაეცნნენ მთის ხინკლის ისტორიას, საფესტივალო სივრცეში გამოფენილი იყო ადგილობრივი მეწარმეების გამოფენა-გაყიდვა, ეთნოგრაფიული შემეცნებითი კუთხე, ასევე სტუმრები დაესწრნენ ქსოვისა და რეწვის გაკვეთილებს.

თუშეთსა და ყაზბეგში ცნობილმა შეფებმა, ლევან კობიაშვილმა, დიმიტრი შარაშიძემ და ესმა კუნჭულიამ ადგილობრივ მზარეულებთან ერთად ხინკლის მომზადების მასტერკლასები და ადგილობრივი კერძების დეგუსტაცია ჩაატარეს.

ადგილზე ასევე ცოცხალი ლუდი მომზადდა. ფესტივალის ფარგლებში მოეწყო სპორტული აქტივობები და შემეცნებითი ტურები. მთის დღეების მუსიკალურ პროგრამაში მონაწილეობდნენ ისეთი ცნობილი მუსიკალური ჯგუფები და მომღერლები, როგორებიც არიან: „ბანი“, „გუფილენდი“, „ჩვენებურები და ლელა ნაყეური“, ნოდარიკო ხუციშვილის ბენდი, „რეზო და ბავშვები“. სტუმრები ღამეს სპეციალურად მოწყობილ კემპინგის ზონაში გაათევენ. 23 ივლისს მთის დღეები გაიმართება მესტიასა და შოვში, სადაც ასევე წარმოდგენილი იქნება მრავალფეროვანი გასართობი და შემეცნებითი პროგრამა, ადგილობრივი კერძების მასტერკლასები და დეგუსტაცია.

აღნიშნულ ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გოგაშვილის დაკავება თემირლანის საქმესთან მიგვიყვანს“

## მალხაზ მაჩალიკაშვილი: „მოაწყვეს სპექტაკლი, აიყვანეს, ახლა ჰყავთ სუს-ში და იქ მიმდინარეობს პირდაპირ ქურდული საქმის გარჩევა“



ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს მალხაზ მაჩალიკაშვილი პასუხობს.**

***– ბატონო მალხაზ, სოსო გოგაშვილი დააკავეს, თუმცა არა – თქვენი შვილის საქმეზე. რას იტყვით ამ ყველაფერზე, რას ემსახურებოდა მისი დაკავება?***

– ჩემი შვილის საქმეზე რომ დაეკავებინათ, ამას 2017 წელს გააკეთებდნენ. თუმცა სახელმწიფო ამაზე არ წავიდა. თუ დაიჭერდნენ ჩემს საქმეზე, ეს იქნებოდა სახელმწიფო დანაშაულის აღიარება. ჩემი შვილის საქმეზე დასაჭერი იყო როგორც გოგაშვილი, ისე რამდენიმე მაღალჩინოსანი, მაგრამ ამაზე არ წავიდნენ. მე გადავავლე თვალი გოგაშვილის სტატუსებს, მის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციებს, მისი აყვანის კადრებს და მოვლენები ჩემებურად შევაფასე.

***– რა დასკვნა გამოიტანეთ?***

– ეს იყო ძალის ჩვენება უშუალოდ ივანიშვილის მხრიდან. მის გუნდში თუკი კიდევ ვინმე გამოჩნდებოდა, ვინც გაიტანდა იმ სიბინძურეს გარეთ, რასაც ისინი ჩადიოდნენ ამ ათი წლის განმავლობაში, ყველა დაისჯებოდა ასეთი მეთოდით. გოგაშვილი დამნაშავეა და დასაჭერიც, თუმცა მისმა დაკავებამ ოჯახისა და შვილების წინაშე, როცა ბავშვებსა და ქალებს ვუყურებდი, ყველა ტკივილი განმიახლა. სოსო გოგაშვილი ჩემი პირველი მტერია, მაგრამ გულის სიღრმეში მეტკინა კიდეც, როგორ ექცეოდნენ მის ოჯახს. მტერიც რომ იყოს, ისიც უნდა შეაფასო ისე, როგორც საჭიროა. რაც შეეხება მის დაკავებას, ჩემი დასკვნა არის ასეთი, რომ ეს იყო ძალის დემონსტრირება უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის მხრიდან, დედას გიტირებთ, ვინც ჩემ წინააღმდეგ წახვალთო!

***– ინფორმაციების გამოტანისა და გასაჯაროების გამო დაისაჯა?***

– სოსო გოგაშვილი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირი იყო უსაფრთხოების სამსახურში. ყველამ კარგად ვიცით, რომ უსაფრთხოების სამსახური დღეს „ქართული ოცნების“ ხერხემალია. სოსო გოგაშვილს მთელი ქეისები და ამ სიბინძურის თაიგული გააჩნია. გოგაშვილი წერდა, რომ ის გამოიტანდა სააშკარაოზე, თუ როგორ გაყალბდა არჩევნები. გოგაშვილის განცხადებებს ძალიან დიდი გულისყურით ვადევნებდი თვალ-ყურს. მას აქამდე არასდროს არ უხსენებია ბიძინა ივანიშვილი. ეს მოხდა პირველად და არც გასულა რამდენიმე საათი, რომ დიდი აურზაურით აიყვანეს.

> „გოგაშვილი დამნაშავეა და დასაჭერიც, თუმცა მისმა დაკავებამ ოჯახისა და შვილების წინაშე, როცა ბავშვებსა და ქალებს ვუყურებდი, ყველა ტკივილი განმიახლა“

***– რა მოხდა, რატომ დაუპირისპირდა „ქართულ ოცნებას“ სოსო გოგაშვილი, იმიტომ, რომ თანამდებობა დაატოვებინეს? ან რატომ დაატოვებინეს, რა მოხდა შიგნით?***

– რა თქმა უნდა, მოხდა, სხვანაირად ასეთ გავლენიან პირს სამსახურიდან არ გაუშვებდნენ. აი, ნახავთ, საბოლოოდ მაინც მისი სამსახურიდან გაშვება, ამ სისტემასთან დაპირისპირება – ეს ყველაფერი თემირლანის საქმემ გამოიწვია. დღეს შეიძლება ეს არავინ დამიჯეროს, მაგრამ, დადგება ის დროც, რომ საბოლოოდ ყველაფერი მაინც იქ წავა და ჩემი შვილის საქმეს დაუკავშირდება. სწორედ ამიტომ გაუშვეს. პირადად ჩემთვის აქვს ნათქვამი მაშინდელი სუს-ის შეფს, მისი გაშვება მოხდა ზუსტად იმ განცხადების გამო, როდესაც მან ძალიან ბინძური ტყუილი თქვა. არაერთი სიბინძურე დაუბრალებია ჩემთვის, ხელფასებს უხდიდა ტროლებს, ბოტებს, რომ მაჩალიკაშვილი გაეშავებინათ. ეს ყველაფერი ფაქტებით არის დადასტურებული. თუმცა ერთი ძალიან დიდი და ბინძური ტყუილი თქვა გოგაშვილმა.

***– რა ტყუილი?***

– თემირლანს დაუკავშირდა თურქეთიდან ჩატაევი და თემირლანი კი მამამისს დაუკავშირდა ხეობაში, რომ ჩატაევი ჩამოდისო. აი, ზუსტად ამ ტყუილის გამო გავუშვით სამსახურიდანო – ასე მითხრა მაშინ სუს-ის უფროსმა. ეს იმხელა ბინძური ტყუილი იყო, რომ აღარ გაუვიდა. მანამდეც ბევრი დეზინფორმაცია გაავრცელა, ჩემს გაშავებას ცდილობდა, გამუდმებით ტერორიზმში მადანაშაულებდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ საბოლოოდ მისი გაშვება, დაპირისპირება ხელისუფლებასთან და შემდეგ მისი დაკავება თემირლანის საქმესთან მიგვიყვანს. დიდი დრო არ არის დარჩენილი. ეს ყველაფერი დაიდება, გამოვა სააშკარაოზე.

***– რამდენად სკანდალური შეიძლება იყოს ის ინფორმაციები, რომელთა გასაჯაროებასაც გოგაშვილი აპირებდა?***

– ამ ქეისებმა მართლაც თუ იხილა მზის სხივი, ეს ძალიან დიდ სკანდალს გამოიწვევს. თუმცა, მე თუ მკითხავთ, არა მგონია, ამ საქმეებმა მზის სხივი იხილონ და საზოგადოებამ გაიგოს ამის შესახებ. დღეს სოსო გოგაშვილი, როგორც აყვანილი პატიმარი, მათ არ ჰყავთ. ის დაიბარეს საქმეების გასარჩევად. მოაწყვეს სპექტაკლი, აიყვანეს, ახლა ჰყავთ სუს-ში და იქ მიმდინარეობს პირდაპირ ქურდული გარჩევა. ახლა მუშაობენ, რომ გააჩუმონ, გააქრონ ყველა კომპრომატი და გოგაშვილმა დაივიწყოს ყველაფერი, რის თქმასაც აპირებდა. მან არ უნდა გაამჟღავნოს ის სიბინძურე, რაც ამ 10 წლის განმავლობაში ხდებოდა.

***– გოგაშვილი დაკავებულია. თქვენი შვილის საქმე თუ განახლდება? აპირებთ, ამ საქმეს ბოლომდე მიჰყვეთ?***

– რა თქმა უნდა. ამაში ორი აზრი არ არის. საქმე განახლდება, ხელმეორე ძიებაში დაბრუნდება. სტრასბურიდან უკვე ველოდებით შედეგს. მე როდესაც ვსაუბრობდი გოგაშვილზე და მის დანაშაულზე, მართალი ვიყავი. ვიცი ისიც, რომ გოგაშვილზე ათჯერ მეტი დამნაშავე სხვა რამდენიმე პიროვნებაა, თუმცა ისინი დუმდნენ, ჩუმად იყვნენ, ჩემს გაშავებას არ ცდილობდნენ და არც ტყუილებს მიგონებდნენ. გოგაშვილი და კიდევ ის რამდენიმე პირიც უმაღლესი სასჯელით უნდა დაისაჯონ და, რა თქმა უნდა, დაისჯებიან. მე ამას აუცილებლად მივაღწევ და სამართალი მაინც იზეიმებს.

# ირაკლი ღარიბაშვილის რეგიონული პოლიტიკის მნიშვნელოვანი შედეგი – თბილისში აზერბაიჯან-სომხეთის პირველი შეხვედრა შედგა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კვლავ მედიატორის როლი იკისრა კავკასიის რეგიონში. მისი განცხადებით, სწორი სამეზობლო პოლიტიკის გატარება ქვეყნის, რეგიონი სიძლიერეა.

საქართველოს მთავრობა აზერბაიჯანისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს უმასპინძლა. შეიძლება ითქვას, რომ უპრეცედენტო ინიციატივა შედგა – თბილისში აზერბაიჯანისა და სომხეთის დიალოგი გაიმართა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მისასალმებელია, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა შედგა თბილისში. მთავრობის მეთაურმა იმედი გამოთქვა, რომ შეხვედრა სამომავლო ურთიერთობებშიც იქნება წარმატებული და დიალოგის პოზიტიურ დინამიკას შეუწყობს ხელს.

პრემიერსა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრ ჯეიჰუნ ბაირამოვის შეხვედრისას განიხილეს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა, მათ შორის, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროებში.





პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილისა და სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ არარატ მირზოიანის შეხვედრისას მშვიდობიანი სამეზობლო ინიციატივა განიხილეს და ხაზი გაუსვეს მის როლს რეგიონული ურთიერთობების ნორმალიზების ხელშეწყობის მიმართულებით.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ გასული კვირის შეხვედრას საფუძველი გასულ წელს პრემიერ ღარიბაშვილის ინიციატივით ჩაეყარა, გადაწყდა სომხურ-აზერბაიჯანული ურთიერთობების დარეგულირების დაწყება. მან გასულ წელს მოლაპარაკების დაწყებისას განაცხადა:

„აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვან იმპულსს მისცემს საქართველოს უშუალო მეზობლებს შორის დაძაბულობის შემდგომ შემცირებას“ .

პრემიერ ღარიბაშვილის გასული წლის ძალისხმევამ გაამართლა და კეთილსაიმედო აღმოჩნდა. იგი პირადად იყო ჩართული აზერბაიჯან-სომხეთის მოლაპარაკების პროცესში.

პრემიერ ღარიბაშვილის ფასილიტაციისა და ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის ფილიპ რიკერის ჩართულობით, აზერბაიჯანულმა მხარემ კონფლიქტის დროს დაკავებული სომხეთის 15 მოქალაქე გაათავისუფლა და საქართველოს ტერიტორიის გავლით ისინი საკუთარ ოჯახებს დაუბრუნდნენ.

პრემიერის ჩართულობით, ასევე, შესაძლებელი გახდა სომხური მხარის მიერ აზერბაიჯანული მხარისთვის მნიშვნელოვანი მასალების გადაცემა დანაღმული ტერიტორიების შესახებ.

პრემიერმა ღარიბაშვილმა გასულ წელს, გაერო-ს 76-ე სესიის გენერალურ დებატებზეც გააჟღერა „სამეზობლოს მშვიდობიანი ინიციატივის“ შესახებ, აღნიშნა, რომ საქართველო მზად იყო, ორი ქვეყნის მოლაპარაკებაში ჩართულიყო.

„გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობა ბევრად იზრდება. საჭადრაკო დაფაზე დინამიკური ასპარეზობის მოწინავე ხაზზეა შავი ზღვა. ეს არის კონფლიქტების მართვის მიკროსამყარო: მე ვიტყოდი, თუ მშვიდობა და სტაბილურობა აქ შენარჩუნდება, სხვაგანაც გახდება შესაძლებელი იმავე შედეგის მიღწევა.

ამიტომ ჩვენი მიზანია მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა მთელ რეგიონში. სამხრეთ კავკასიაში გთავაზობთ „სამეზობლოს მშვიდობიან ინიციატივას“ ჩვენი რეგიონის სტაბილურობის ხელშესაწყობად.

საქართველო მზადაა თბილისში უმასპინძლოს საერთაშორისო შეხვედრას, სადაც განხილული იქნება ჩვენი მშვიდობიანი კეთილმეზობლური ინიციატივის პერსპექტივები, რომელშიც ჩაერთვებიან ჩვენი სამხრეთკავკასიელი მეზობლები, ჩვენი ძმები და საერთაშორისო პარტნიორები.

მოდით, პატარა ნაბიჯებით დავიწყოთ ნდობის შენება და შემდეგ გადავიდეთ სხვა რეგიონული და გლობალური საკითხების გადაჭრაზე“, – განაცხადა ღარიბაშვილმა გაერო-ს 76-ე სესიის გენერალურ დებატებზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი აცხადებს, რომ პრემიერის ინიციატივით დაგეგმილი შეხვედრა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დიალოგის დასაწყისია.

– თბილისი მასპინძლობს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაწყებულ მნიშვნელოვან დიალოგს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული დიალოგი საქართველოში, თბილისში მიმდინარეობს. თბილისი ყოველთვის იყო ადგილი, სადაც ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღებოდა და ეს სწორედ ამის ძალიან მნიშვნელოვანი გაგრძელებაა. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ სწორედ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ შარშან დაწყებული ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი, მისი განსაკუთრებული ძალისხმევით დაწყებული პროცესი დიალოგის ხელშეწყობისა ჩვენს ორ მეგობარ ქვეყანას შორის, სომხეთსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის, რომელიც ყველამ კარგად ვიცით, რომ დასრულდა კონკრეტული შედეგებით, ეს პროცესი გაგრძელდა. ყველას კარგად გვახსოვს საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამშვიდობო სამეზობლო ინიციატივა, გაჟღერებული გაეროს უმაღლესი ტრიბუნიდან. სწორედ ამ პროცესის ძალიან ლოგიკური გაგრძელებაა დღევანდელი დღე, – განაცხადა ილია დარჩიაშვილმა.

•

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის თბილისში გამართულ შეხვედრას ეხმაურება და მას პოზიტიურ ნაბიჯად აფასებს. ამის შესახებ ენტონი ბლინკენი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ წერს.

„აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეიჰუნ ბაირამოვმა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა არარატ მირზოიანმა პოზიტიური ნაბიჯი გადადგეს თბილისში შეხვედრით. პირდაპირი დიალოგი ყველაზე სარწმუნო გზაა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის უთანხმოების მოსაგვარებლად“, – წერს სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“.

„საექსპერტო წრეებში ყოველთვის იყო მოწოდება, რომ საქართველო ამ მიმართულებით გააქტიურებულიყო, შეესრულებინა თავისი ტრადიციული როლი და განემტკიცებინა საკუთარი მნიშვნელობა რეგიონში. ამ კუთხით მისასალმებელია პრემიერ ღარიბაშვილის აქტიურობა“, – ასე გამოეხმაურა ექსპერტი ამირან სალუქვაძე თბილისში ჩატარებულ სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას.

– გარდა იმ მედიაციისა, რომელიც ჯერ კიდევ აქტუალურიარ ჩვენს ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის, იქნება განხილული სხვა თემებიც, რეგიონული პროცესები, რეგიონული პროექტები, მათ შორის სატრანზიტო დერეფნები და ა.შ. ამ პროცესებისგან ჩამორჩენა არ შეიძლება, რადგან, თუ არ ვიაქტიურეთ, ჩვენი ინტერესები რეგიონში არ იქნება დაცული, – განაცხადა სალუქვაძემ.

# ჩხრეკა და დაკავება ყველა ნორმის დაცვით მოხდა



ირაკლი ზარქუას თქმით, სუს-ის ყოფილი მაღალჩინოსნის სოსო გოგაშვილის დაკავება ყველა ნორმის დაცვით მოხდა.

უმრავლესობის წევრი აღნიშნავს, რომ ბოლო წლებია, სოსო გოგაშვილი „ქართულ ოცნებას“ ემუქრება და ასევე ამბობს, რომ მისი დაკავება სოციალურ ქსელში გოგაშვილის მიერ გამოქვეყნებულ სტატუსს არ უკავშირდება.

– მთავარი ისაა, რომ ყველა ნორმის დაცვითა და სასამართლოს განჩინების საფუძველზეა ჩხრეკა ჩატარებული და დაკავებაც განხორციელებული. ერთი რამ ცხადად ჩანს და ჩვენს მმართველობაში მკაფიოდაა გამოხატული – მიუხედავად იმისა, ვინ არის ის, იყო მაღალჩინოსანი, ჩვენი გუნდის წევრი თუ არა, იქ, სადაც არის პოტენციური დანაშაული ჩადენილი, სასამართლოც ყოველგვარი მიკერძოების გარეშე მოქმედებს და შესაბამისი უწყებებიც.

მე მას პირადად არ ვიცნობ კარგად, მაგრამ ეს ადამიანი ბოლო წლებია, სულ რაღაცას გვემუქრება, ხან რაღაცას დებს და ა.შ. ეს თუ ასეა (და დაკავება უკავშირდება გუშინ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ სტატუსს), აქამდეც აიყვანდნენ, მაგრამ არაა ასე. მიმდინარე საგამოძიებო საქმეზე ჩათვალა შესაბამისმა უწყებამ, რომ ახლა დროა, მიემართა სასამართლოსთვის, ჩაატარა ჩხრეკა და დაკავება, – განაცხადა ზარქუამ.

შეგახსენებთ, სუს-ის უფროსის ყოფილმა მოადგილე სოსო გოგაშვილმა 15 ივლისს ფეისბუქის პირად გვერდზე გამოაქვეყნა პოსტი, სადაც წერს, რომ გაყალბდა 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. გოგაშვილმა აღნიშნა, რომ არჩევნების გაყალბების შესახებ მტკიცებულებები ყველა შესაბამის ორგანიზაციას გადასცა.

# რატომ გააფართოვა „ქართულმა ოცნებამ“ დასავლეთის წინააღმდეგ მოიერიშე ჯგუფები

## ანონსდება საქართველოს ახალი კურსი

მარიამ მჭედლიშვილი

მაშინ, როცა ევროკომისიამ ერთი წლით გადასწია საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვა, წესით, საქართველოს ხელისუფლებასა და მმართველ პარტიას მშვიდად უნდა გაეგრძელებინათ საკუთარი მოვალეობების შესრულება, აგრეთვე იმ რეკომენდაციების შესრულებაზე მუშაობა, რომლებიც ევროკომისიამ 12 პუნქტად ჩამოაყალიბა.

ამის მაგივრად დასავლეთზე შეტევები ახალი ენთუზიაზმით გრძელდება. უბრალოდ, სოსო გოგაშვილის დაკავებამ ეს საკითხი დაჩრდილა.

ახალი ანტიდასავლური იერიშისთვის იმპულსი გახდა მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის განცხადება. მოსამართლემ საჯაროდ გამოაცხადა, რომ სასამართლოს საქმეებში (კერძოდ, „მთავარი არხის“ დამფუძნებლისა და გენდირექტორის ნიკა გვარამიას საქმეში) ერევიან ევროპარლამენტის წევრი მაიკლ გალერი და აშშ-ის საელჩო.



ჩხიკვაძის განცხადებას მაშინვე მოჰყვა „ქართული ოცნების“ მომხრეების აშკარად წინასწარ ორგანიზებული გამოხმაურებები სოციალურ ქსელში. ჩხიკვაძის კვერის დამკვრელები ხმაშეწყობილად აგრძელებენ დასავლეთისთვის ტალახის სროლას.

ჩხიკვაძის გამოსვლას ბანი მისცეს ხელისუფლების მომხრე ექსპერტებმა და პარლამენტის უმრავლესობიდან გამოსულმა დეპუტატებმა, რომლებიც ცოტა ხნის წინ მშობლიურ „ქართულ ოცნებას“ სიმართლის გასახმაურებლად ფორმალურად გაემიჯნნენ.

მათ თავდასხმებს ისეთი გაშმაგებული სახე მიეცა, თითქოს დასავლეთმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ინტერვენცია უკრაინაში, საქართველოს კი ევროკავშირში შესვლაზე განაცხადი არ წარუდგენია.

### „ოცნების“ გარემოცვა ნეოკოლონიალიზმზე ალაპარაკდა

– დაუჯერებელი და გამაოგნებელია ნაცმოძრაობის ლობისტი ევროპარლამენტარისა და აშშ-ის საელჩოს უსაქციელო კადნიერება, ჩაერიონ საქართველოს მართლმსაჯულებაში, – განაცხადა ექსპერტმა გია აბაშიძემ.



მისი შეფასებით, ამგვარი ქმედებები არის თავხედური ზეწოლა დამოუკიდებელი საქართველოს სასამართლო სისტემაზე, კანონის უზენაესობაზე.

– დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველო ნეოკოლონიალურ გამოხდომებს ვერავისგან მოითმენს, – დასძინა აბაშიძემ.

თავისი სიტყვა თქვა „სიმართლის დამცველმა“ დეპუტატმა სოზარ სუბარმა:

**სოზარ სუბარი:**

– აღმაშფოთებელი, გაუგონარი და ცინიკურია განცხადება, რომელიც ევროპარლამენტარმა გალერმა გააკეთა. მან გადაწყვიტა, პირდაპირ ჩაერიოს საქართველოს სასამართლოს დამოუკიდებლობაში და მოუწოდა სააპელაციო სასამართლოს, გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი და მიიღოს ის გადაწყვეტილება, რომელიც თურმე გალერს მოსწონს.



„ქართული ოცნების“ წევრების, მომხრეებისა და „სიმართლის მთქმელების“ გზავნილები და ნარატივები სულ უფრო მეტად უახლოვდება და ხშირად ემთხვევა პრორუსული ჯგუფების განცხადებებს. საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო ტრიბუნებზეც ანტიდასავლური გახდა: თუ რამდენიმე თვის წინ საქართველო შეუერთდა სარჩელის შეტანას რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სასამართლოში, ახლა აღარ უერთდება.

„ოცნების“ რიტორიკა უმეტესად ემთხვევა პრორუსული ჯგუფებისა და პიროვნებების გამონათქვამებს. აქედან გამომდინარე, „ოცნების“ განცხადებების, ქმედებებისა და გეგმების ახსნა შესაძლებელია პრორუსულად განწყობილების განმარტებებიდან.

### ანონსდება საქართველოს კონსერვატიულ ქვეყნად გახდომა

საქართველო-რუსეთის საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელი, რუსეთში ახლახან ნამყოფი დიმიტრი ლორთქიფანიძე ქართულ მედიასთან აღიარებს, რომ სამი დეპუტატის გამოსვლა „ქართული ოცნებიდან“ მიანიშნებს, რომ „სისტემური რღვევა დაწყებულია, რომელმაც უნდა შვას ახალი პოლიტიკური ძალა არსებული ჩამყაყებული სისტემის იგნორირებით“.

პარლამენტისა და საკრებულოების უმრავლესობიდან გამოსული დეპუტატების შესვლა რომელიმე ახალ პარტიაში გასაკვირი არ უნდა იყოს. ამაზე კონკრეტულად არავინ არაფერს ამბობს.

უფრო საინტერესოა, რა კურსს დაადგებიან „ოცნება“ და მისი მონათესავე პარტიები თუ ჯგუფები. ლორთქიფანიძე აღნიშნავს:

– იწყება სეპარაცია და, როგორც ჩანს, ჩვენი გეოპოლიტიკური კურსი იქნება სახელმწიფო-კონსერვატიული ცენტრიზმისკენ სწრაფვა, რომელმაც უნდა მოახდინოს სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესი იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც ვერ ვაკონტროლებთ.

მისივე თქმით, წლის ბოლომდე რუსეთი



გააუქმებს სავიზო რეჟიმს საქართველოს მოქალაქეებისთვის და აღადგენს ავიამიმოსვლას. მიმდინარეობს მუშაობა ერგნეთის ბაზრობის აღდგენაზე. მისი სიტყვებით, ერგნეთის ბაზრობის აღდგენის პირობა ბიძინა ივანიშვილმა 2012 წლის 14 ივლისს გასცა.

ეტყობა, რუსეთი საქართველოს ახალ კულუარულ დაპირებებს აძლევს.

ამასთან, როგორც ჩანს, ისევ ძალაშია რუსი იდეოლოგის, დუგინის იდეა და გეგმა საქართველოში დიდი კონსერვატიული მოძრაობის შექმნის შესახებ, რომელშიც პრორუსული პარტიები, ჯგუფები, საზოგადოებრივი გაერთიანებები და ცალკეული პიროვნებები უნდა შევიდნენ. „ქართული ოცნების“ ბოლოდროინდელი რიტორიკა აშკარად ანტიდასავლურია და ახალ გაერთიანებაში ალბათ მისი უმრავლესობაც (გამიჯნულ დეპუტატებთან ერთად) მოიაზრება. საკითხავი ისაა, რატომ არიან დარწმუნებული რუსეთზე ორიენტირებული პირები იმაში, რომ პრორუსული ძალები საქართველოს ხელისუფლებაში იქნებიან.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პოლიტიკური სპექტრის ნაწილი (არა მხოლოდ ღიად პრორუსული) მოუთმენლად ელის რუსეთის გამარჯვებას უკრაინაში ან, უკიდურეს შემთხვევაში, აშშ-ში დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებას, რომელიც გამოიყვანს აშშ-ს ნატოდან და, საერთოდ, გაატარებს რუსეთის საამებელ პოლიტიკას.

საქართველოს საზოგადოებამ ბევრჯერ დაამტკიცა, რომ სურვილი აქვს, საქართველო იყოს დასავლეთის სრულუფლებიანი წევრი. რუსეთუმეებთან იდეოლოგიურად შეკრული „ოცნების“ საგარეო ორიენტაცია ბუნებრივად წარმოშობს კონფლიქტს საზოგადოებასა და სხვადასხვა ელფერის პრორუსულ ძალებს შორის.

# „არ გვინდა, სიჩქარეში რეფორმების გატარების კუთხით რამე შეგვეშალოს“

## გიორგი ცაგარეიშვილი: „უსამართლობა მოხდა, როდესაც უკრაინასა და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭეს, საქართველოს კი — არა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის წევრი გიორგი ცაგარეიშვილი პასუხობს.

***– ბატონო გიორგი, ევროკომისიის გადაწყვეტილებით, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხი არა 6 თვის შემდეგ, არამედ 2023 წელს განიხილება. ეს გადაწყვეტილება რას ნიშნავს?***

– როგორც იცით, თავიდან 6-თვიანი ვადა იყო დაწესებული. მე და ჩვენი გუნდი ვფიქრობთ, რომ ეს ვადა რაციონალური არ იყო. მიუხედავად ჩვენი ძალისხმევისა, 6 თვეში ძალიან რთული იქნებოდა ყველა იმ პუნქტის შესრულება, რომლებიც ევროკავშირმა საქართველოს მოსთხოვა.

მერწმუნეთ, ყველა საშუალება იქნება გამოყენებული ამ წლის ბოლომდე ყველა მოთხოვნის შესასრულებლად. ყველა მიმართულებით ვმუშაობთ. შექმნილია რამდენიმე კომისია, იმავე ადამიანის უფლებათა კომიტეტთან, იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან. პირველი ჯგუფი მუშაობს სასამართლო რეფორმაზე.

მეორე მუშაობს ჩვენი შიდა რეგლამენტის, შიდა საპარლამენტო დემოკრატიის პროცედურების დახვეწაზე. მესამე ჯგუფი მუშაობს გენდერულ თანასწორობაზე, ანუ ქალთა უფლებების გაზრდაზე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ეს არის სამი პუნქტი იმ 12 პუნქტიდან, რომლებიც ევროკომისიამ და ევროპის საბჭომ წარმოადგინეს.

იქ კიდევ რამდენიმე პუნქტია, მაგალითად, სახალხო დამცველის არჩევა და ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია ჩვენს კანონმდებლობაში და ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივი აღსრულება. ესეც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამუშაოა. ამ მიმართულებითაც გარკვეული სამუშაოებია ჩატარებული. ასე რომ, ყველა მიმართულებით ვმუშაობთ.

***– თქვენ მიმართეთ თუ თვითონ ევროკომისიამ ჩათვალა, რომ 6 თვე ძალიან მცირე დროა რეკომენდაციების შესასრულებლად?***



– საერთოდ, ძალიან დიდი უსამართლობა მოხდა, როდესაც უკრაინასა და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭეს, საქართველოს კი – არა. ძალიან ბევრი ევროპელი ანალიტიკოსის, ევროპარლამენტის წევრის, ევროპის მთავრობათა წარმომადგენლების განცხადებებში ითქვა, რომ საქართველო უსამართლოდ დაისაჯა.

ორი დღის წინ ირლანდიის რესპუბლიკის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში დებატები გაიმართა. იქ ითქვა, რომ ევროკავშირის გადაწყვეტილება უსამართლო იყო, რამაც საქართველოში ევროკავშირის განზრახვების მიმართ გარკვეული სკეპტიციზმი გააჩინა. ამიტომ კანდიდატის სტატუსი სამივე ქვეყანას უნდა მიეღო.

საერთაშორისო თანამეგობრობის დონეზე აღიარებულია, რომ საქართველო უკრაინასა და მოლდოვას ყველა მიმართულებით უსწრებს რეფორმების გატარების კუთხით. ამას სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით. ამიტომ აღგვეძრა ეჭვი, ამ უარის თქმას სხვა საფუძველი ხომ არ ჰქონდა.

***– კერძოდ, რა საფუძველი შეიძლებოდა ჰქონოდა?***

– პოლიტიკური სარჩული.

***– შიდა დაპირისპირება ხომ არ იყო მიზეზი?***

– გაგვიჩნდა ეჭვი, უარის თქმას ხომ არ ჰქონდა პოლიტიკური სარჩული. როცა ორ ქვეყანას კანდიდატის სტატუსს ანიჭებ, მესამეს კი – არა, ვფიქრობ, ეს არის ძალიან დიდი უსამართლობა.

შეიძლება ვინმეს სიამოვნებდეს ან არ სიამოვნებდეს, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, შენ ამ სამეულში მოწინავე ქვეყანას მხოლოდ პერსპექტივას აძლევ, ხოლო მეორე და მესამეს – კანდიდატის სტატუსს. ეს ძალიან დიდი უსამართლობაა.

ჩვენ არავისთვის მიგვიმართავს, არც არავისთვის მოგვიწოდებია (არც ვერბალურად, არც წერილობით), რეკომენდაციების შესრულებას ვაგვიანებთ და გადაგვივადეთო. ამგვარი მიმართვა არავის გაუფიქრებია და არც არასოდეს გავიფიქრებთ.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ მოცემული 12 პუნქტის უფრო მალე შესასრულებლად, ვიდრე მოლდოვასა და უკრაინაში ვინმეს წარმოუდგენია.

***– ეჭვი გამიჩნდა, შიდა დაპირისპირების გამო ხომ არ გაზარდა ვადა ევროკომისიამ. ოპოზიციის ერთი ნაწილის ხელისუფლებასთან დაპირისპირება და პროცესების რადიკალიზაცია ამაზე გავლენას ახდენს?***

– მგონი, ევროკომისიაში ცივ გონებაზე კარგად განსაჯეს და აწონდაწონეს შეუვალი ფაქტი, რომ 6 თვე საკმაოდ პატარა ვადაა მოცემული რეკომენდაციების შესრულებისთვის, იმიტომ კი არა, რომ ვინმე უარს იტყვის ამ რეკომენდაციების შესრულებაზე, უბრალოდ, ასეთი მოკლე ვადა ხელს არ უწყობს არც პოლარიზაციის შემცირებას და არც დახვეწილი, სამართლებრივად გამართული საკანონმდებლო რეფორმების ჩატარებას. არ გვინდა, სიჩქარეში რამე შეგვეშალოს.

ფაქტობრივად, ყველა საკანონმდებლო აქტი, რომელთა ჰარმონიზაციაც ხდება ევროპულ კანონმდებლობასთან, ვენეციის კომისიაში იგზავნება, რომელიც ევროკავშირის სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრია, სპეციალური დაწესებულებაა, რომელიც სწორედ ევროკავშირის წევრ თუ ასოცირებულ წევრ ქვეყნებზე მუშაობს.

ძალიან რთულად წარმომიდგენია, რომ კანონი, რომელსაც აქ შევიმუშავებდით და ოქტომბერში ვენეციის კომისიაში შესასწავლად და ანალიზისთვის გავაგზავნიდით, ერთ-ორ კვირაში უკან დაგვიბრუნდებოდა. იქ არსებობს გარკვეული ბიუროკრატიული ბარიერები და ვენეციის კომისია ასე სწრაფად ასეთ რთულ ანალიზს ვერ ახდენს.

დარწმუნებული იყავით, ხშირ შემთხვევაში, ევროკავშირის სტრუქტურების მოქნილობაზე ვიქნებოდით დამოკიდებული, სანამ ამ თვეებში ახალ კანონებს მოვამზადებდით, ვენეციის კომისიაში სამართლებრივი ანალიზისთვის გავაგზავნიდით და იქიდან პასუხს მივიღებდით, დიდი დრო დაიკარგებოდა.

ვფიქრობ, ესეც გაანალიზდა, ესეც აიწონ-დაიწონა და, მგონი, ევროკომისიაში მიხვდნენ, რომ ასეთ მოკლე დროში რეფორმების გატარება მხოლოდ ნეგატიურ შედეგს მოიტანდა.

კიდევ ერთ რამ – ერთი წელი მხოლოდ საქართველოს არ დაემატა. ის დაემატა მოლდოვასაც და უკრაინასაც.

საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას, ფაქტობრივად, იდენტური რეკომენდაციები წარედგინათ. მხოლოდ სამ პუნქტშია სხვაობა. 7-8 პუნქტი იდენტურია. ევროკავშირმა სამივე ქვეყანას შემოგვთავაზა, რომ რეფორმებზე კიდევ ერთი წელი ვიმუშაოთ და 2023 წლის შემოდგომაზე, სავარაუდოდ, სექტემბერ-ოქტომბერში, რეკომენდაციის სრულყოფილად შესრულების ანგარიში წარვადგინოთ.

ჩვენ ტემპს არ დავაგდებთ, ყველა პუნქტის შესრულების ანგარიშს ბევრად უფრო ადრე წარვადგენთ. შემდეგ ევროკავშირმა შეაფასოს, ქართულმა მხარემ რამდენად ნაყოფიერად იმუშავა. ევროპარლამენტში და სხვაგან სალაპარაკო აღარ ექნებათ, არც ინსინუაციების საგანი გახდება, რა მდგომარეობაშია საქართველო და რეკომენდაციების შესრულების ხარისხი როგორია.

# ხორბლის ფასი საგრძნობლად შემცირდა

მსოფლიოში სურსათი იაფდება. საერთაშორისო ბაზარზე ხორბლის ფასები საგრძნობლად შემცირდა და ომამდელ ნიშნულს დაუბრუნდა. ხორბლის ფიუჩერსების ფასი ერთ ბუშელზე 7.9 აშშ დოლარს ჩამოსცდა, რაც 5 თვის განმავლობაში პირველად მოხდა.

ფასის შემცირება რუსეთის მიერ ოკუპირებული ყირიმის ნახევარკუნძულიდან მიწოდების გაზრდასთანაა დაკავშირებული. მიუხედავად ომისა, მარცვლეული საერთაშორისო ბაზრამდე მაინც აღწევს.

ექსპორტი ყირიმის ნახევარკუნძულიდან მკვეთრადაა გაზრდილი და თითქმის 50-ჯერ მეტია, ვიდრე ჩვეულებრივ წლის ამ პერიოდში. კიევის ეკონომიკის სკოლის თანახმად, ეს ფაქტი ეჭვს იწვევს, რომ რუსეთს შავი ზღვის პორტებიდან მოპარული მარცვლეული გააქვს.

უკრაინა რუსეთს ოკუპირებული რეგიონებიდან მარცვლეულის მოპარვასა და ექსპორტს სდებს ბრალად. კიევის ეკონომიკის სკოლის გამოთვლებით, ივნისიდან მოყოლებული, რუსეთმა მიითვისა ან დააზიანა 1 მილიონ ტონაზე მეტი მარცვლეული, რომელთა საერთო ღირებულება 600 მილიონ დოლარს აჭარბებდა. რუსეთი ამ ბრალდებებს, რა თქმა უნდა, უარყოფს.

# სოსო გოგაშვილი დააკავეს

გავრცელებული ინფორმაციით, სუს-ის უფროსის ყოფილი მოადგილე სოსო გოგაშვილი დააკავეს.

არსებული ინფორმაციით, გოგაშვილის დაკავების ოპერაცია მის საცხოვრებელ სახლში გვიან ღამით ჩატარდა.

სუს-ის უფროსის ყოფილი მოადგილის, სოსო გოგაშვილის შვილი, ნიკოლოზ გოგაშვილი ვარაუდობს, რომ სოსო გოგაშვილის დაკავება 2021 წელს გავრცელებულ ფაილებს უკავშირდება. აღნიშნულის შესახებ მან ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

– თქვენს არხებზეც იყო, საპატრიარქოს რომ უსმენდნენ... – განმარტავს ნიკოლოზ გოგაშვილი.

გარდა ამისა, მან საგამოძიებო მოქმედებებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ჩხრეკა ჩატარდა გონიოში, თბილისსა და კახეთში.

– საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა კახეთშიც – სასტუმროშიც და სახლშიც. გადაატრიალეს სახლები, მამაჩემის პირადი მძღოლი ვინც არის, იმის სახლში მივიდნენ და ამოუყირავეს სახლი, არასრულწლოვანი ბავშვები ჰყავს, წამლები დაალევინა, ისე ინერვიულეს. ფილმში მგონია თავი გუშინდელი დღის მერე, – აღნიშნავს ნიკოლოზ გოგაშვილი.

ცნობისთვის, 15 ივლისს, გვიან ღამით, სუს-ის უფროსის ყოფილი მოადგილე, სოსო გოგაშვილი საკუთარ საცხოვრებელ სახლში სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს. შესაბამისი ვიდეომასალა გოგაშვილის ოჯახის წევრებმა სოციალურ ქსელში გაავრცელეს. პარალელურად, ჩხრეკა ჩატარდა აჭარაში მდებარე საცხოვრებელ სახლში, სადაც გოგაშვილის შვილი, ნინო გოგაშვილი იმყოფებოდა. 16 ივლისს კი ჩხრეკა ჩატარდა სოსო გოგაშვილის კიდევ ერთი შვილის, ნიკოლოზ გოგაშვილის სახლში.

ნიკოლოზ გოგაშვილის ინფორმაციით, დიპლომატიურ კორპუსს აქვს ყველა ის მასალა, რის გასაჯაროებასაც სოსო გოგაშვილი აპირებდა.

– დიპლომატიურ კორპუსს ყველაფერი აქვს, რასაც სოსო აანონსებდა, ევროკავშირისაც და ამერიკისაც, – აღნიშნავს ნიკოლოზ გოგაშვილი.

მან სოსო გოგაშვილის დაკავებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ „რამდენიმე სამართალდამცავმა ნერვები ვერ მოთოკა“.

– ყველა არ იყო აგრესიით გამორჩეული, ბევრი ვაჟკაცი ბიჭია, რამდენიმე იყო, ვინც ნერვები და თავი ვერ მოთოკა. როდესაც სახლში სპეცოპერაციით შედიხარ, მნიშვნელობა არ აქვს, რა დავალება გაქვს, ელემენტარული უნდა იცოდე, რომ



ღირსებაა მთავარი, როდესაც ხედავ, რომ ოჯახი ნერვიულობს, აღარ უნდა დაუმატო შენი ყვირილი და მუქარები, – აღნიშნავს ნიკოლოზ გოგაშვილი.

მან ასევე უპასუხა კითხვას, უკავშირდება თუ არა სოსო გოგაშვილის დაკავება „სუს-იდან გამოჟონილ კრებსებს“.

– ზუსტად არ ვიცი. რომელიღაც არხზე სიუჟეტი გააკეთეს, რომ თითქოს სოსო მართავს „ტვ პირველს“, „ფორმულას“, „მთავარ არხს“. სასაცილოა, მამაჩემი თუ მართავს კელი დეგნანს, ასეთ სამ ძლიერ ტელევიზიას, სოსო ყოფილა ოლიგარქი, სოსო უნდა დაასანქცირონ მათი ლოგიკით? ელჩებს მართავს, ტელევიზიებს მართავს, ახლა ამერიკაში არჩევნებს ჩაატარებს, – აღნიშნავს ნიკოლოზ გოგაშვილი.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, სუს-ის უფროსის ყოფილი მოადგილე სოსო გოგაშვილი მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით დააკავეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სუს-ში განუცხადეს.

მათივე ინფორმაციით, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გარდაუვალი გახდა მისი დაკავება.

„მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარდა ჩხრეკის ოპერაცია მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე და არა ახალ საქმეზე. ჩხრეკის შედეგად გარდაუვალი გახდა მისი დაკავება“, – აღნიშნავენ სუს-ში და არ აკონკრეტებენ, რომელია „მიმდინარე საქმე“.

სოსო გოგაშვილი სამართალდამცავებმა სუს-ის დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს. ამის შესახებ ჟურნალისტებს სოსო გოგაშვილის შვილმა ნიკოლოზ გოგაშვილმა განუცხადა.

როგორც მან აღნიშნა, სამართალდამცავებმა მათ სახლში ჩხრეკისას უკანონოდ გაფორმებული ორი იარაღი ჩადეს, ამ პროცესის თვითმხილველები კი მისი დედა და დეიდა არიან.

– ახლა გაიყვანეს. გაგიკვირდებათ და ვიცეპოლკოვნიკს თურმე ორი გაუფორმებელი იარაღი ჰქონია სახლში და ყვავილივით ამოსული, ანუ ორი იარაღი ჩვეულებრივად ჩადეს და „შეტენეს“ რაღაც ყალბი ფაქტები მოსმენებისა და ა.შ. საქმე სამი მუხლით მიმდინარეობს, მუხლები ზუსტად არ მახსოვს. ერთი არის იარაღის უკანონოდ შენახვა... იარაღის ჩადების პროცესი დაინახეს, თვითმხილველები დედაჩემი და დეიდაჩემი არიან, – განაცხადა ნიკა გოგაშვილმა.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის, ქეთევან ხვედელიანის განცხადებით, დაკავებულ სოსო გოგაშვილს ფიზიკური დაზიანებები აღენიშნება.

როგორც გოგაშვილის მონახულების შემდეგ ხვედელიანმა განმარტა, ყოფილ მაღალჩინოსანს სახის არეში – შეშუპება, ხელის მტევნებსა და ფეხებზე კი სილურჯეები აქვს.

– აღენიშნება ფიზიკური დაზიანებებიც, რომელიც თვალსაჩინოა, ნახა ექიმმაც და შეაფასა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. სახის არეში აღენიშნება შეშუპება, ხელის მტევნებზე და ფეხებზე აქვს სილურჯეები, რაც დაცემის, ანუ დაკავების დროს მოხდა. როგორც მან თქვა, მას შემდეგ ფიზიკურ ძალადობას ადგილი არ ჰქონია.

სახალხო დამცველის აპარატი ესაუბრა მისი ოჯახის წევრებს და, როგორც ვიცი, საგამოძიებო სამსახურს ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმართავენ. ბრალთან დაკავშირებით კონკრეტულად არ გვისაუბრია, თვითონ ამბობს, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ მისი დაკავება იგეგმებოდა, შეტყობინება მის მიმართ გაკეთებული არ ყოფილა და, შესაბამისად, არ ელოდებოდა, მსგავსი სახის სპეცოპერაცია თუ იქნებოდა, – განაცხადა ხვედელიანმა.

მისივე განმარტებით, სოსო გოგაშვილი აცხადებს, რომ იარაღი „ჩადებულია“.

– როგორც თვითონ ამბობს, ეს მისი არ არის, ორი იარაღია ჩადებული, – აცხადებს ხვედელიანი.

## ნიკა გვარამიასადმი სასჯელის მიკუთვნების შემდეგ ლაშა ჩხიკვაძე აშშ-ში წამსვლელთაგან ამოიღეს

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის განცხადებით, ნიკა გვარამიას საქმეზე განაჩენის გამოცხადების შემდეგ შეხვდა აშშ-ს საელჩოს ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელმაც უთხრა, რომ ელჩს აინტერესებს, ამ საქმეზე რატომ მიიღო გამამტყუნებელი განაჩენი. როგორც მოსამართლე აღნიშნავს, მისი შეფასებით, ეს იყო ანგარიშის მოთხოვნა კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით.




„მას შემდეგ, რაც მე ნ. გვარამიას საქმეზე გამოვაცხადე განაჩენი, მე მქონდა შეხვედრა თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში აშშ-ის საელჩოს ერთ-ერთ თანამშრომელთან (აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ხაზით კევინ ბურკთან), რომელმაც საუბრისას გამომკითხა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მითხრა, რომ ელჩს აინტერესებს ამ საქმეზე რატომ მივიღე გამამტყუნებელი განაჩენი და განსაკუთრებით რატომ გამოვიყენე სასჯელად თავისუფლების აღკვეთა. ჩემი შეფასებით ეს იყო ანგარიშის მოთხოვნა კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. ამას კი მოაყოლა, რომ სულ რამდენიმე დღეში დაგეგმილი ვიზიტში (სადაც 6 სისხლის პროფილის მოსამართლე) მივდიოდით აშშ-ში და სადაც ყველაფერი უკვე გაწერილი იყო, სამწუხაროდ, ჩემი მონაწილეობა არასასურველი იქნებოდა და სიიდან ამოღებული ვიყავი.

ეს ვითარება ჩემთვის გამაოგნებელი აღმოჩნდა. თუმცა ყველაფერი ამით არ დასრულებულა, ახლა უკვე ზოგიერთი პოლიტიკური ძალა „სანქციებითაც“ მემუქრება ამ კონკრეტული საქმის განხილვის შედეგის გამო და არ მინდა, იგივე გაიარონ ჩემმა კოლეგა მოსამართლეებმა, რომლებსაც, როგორც უკვე აშკარად ჩანს, ამ საქმის განხილვა მოუწევთ დაუფარავი და დიდი ზეწოლის ქვეშ.

დაბოლოს, მინდა მოვუწოდო პოლიტიკურ პარტიებს, დიპლომატიურ კორპუსს, საერთაშორისო და საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს, თავი შეიკავონ სასამართლოზე ზეწოლისაგან და მოსამართლეებს მიეცეთ საშუალება მართლმსაჯულება განახორციელონ მშვიდ გარემოში და გადაწყვეტილებები მიიღონ საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე“, – აცხადებს ლაშა ჩხიკვაძე.

## ნიკა გვარამია: „სასამართლოში კლანის წინააღმდეგ ბუნტია“

– „ოცნებისგან“ „განდგომილ“ გრაფომანების სამეულს საკრებულოს წევრების შემდეგ უკვე „მოსამართლეც“ უერთდება სრულიად იდენტური შინაარსისა და ლექსიკის განცხადებით.

ამის შესახებ ნათქვამია „მთავარი არხის“ დამფუძნებლის, მსჯავრდებულ ნიკა გვარამიას განცხადებაში, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, ლაშა ჩხიკვაძის მიერ გავრცელებულ განცხადებას ეხმაურება.

მისი თქმით, სასამართლოში კლანის წინააღმდეგ ბუნტია.

„აშშ-ში სემინარზე მიდიან მხოლოდ ის მოსამართლეები, ვინც დაუპირისპირდა სისტემას და საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა მოსამართლეების წინააღმდეგ მიღებული რეპრესიული კანონი დისციპლინური წარმოების შესახებ. ბუნტის სათავეში არიან ის მოსამართლეები, ვინც, ჩხიკვაძის დასანქცირების მიზეზით, აიძულეს, უარი ეთქვათ აშშ-ში წასვლაზე. ამ მოსამართლეებზე ზეწოლა განახორციელა უშუალოდ ე.წ. მოსამართლე ჩხიკვაძემ, რაზეც ისინი აპირებენ ხმამაღლა საუბარს.

რაც შეეხება საკუთრივ ე.წ. მოსამართლე ჩხიკვაძის განცხადებას, რომელმაც თავად დაადასტურა, რომ 2 თვე საზოგადოებას ატყუებდა და „ქართული ოცნების“ მიერ მიღებულ მესიჯბოქსს იმეორებდა: პირველი – ფორმალურადაც კი გაფორმდა ის ფაქტი, რომ ის დაინტერესებულია ჩემს საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (რაც არ უნდა წეროს, რომ ეს მისი ინტერესი არაა) და თავად ახორციელებს ღია და საჯარო ზეწოლას საკუთარ კოლეგებზე; მეორე – სრულიად შემზარავი და უპრეცედენტოა ჩვენი მთავარი სტრატეგიული მოკავშირის დისკრედიტაციისა და შანტაჟის ეს ფაქტი სასამართლო ხელისუფლების მხრიდან, რომელიც უნდა განვიხილოთ, როგორც „ქართული ოცნების“ ღია ანტიდასავლური კამპანიის ნაწილი.

„ოცნებისგან“ „განდგომილ“ გრაფომანების სამეულს, საკრებულოს წევრების შემდეგ, უკვე „მოსამართლეც“ უერთდება, სრულიად იდენტური შინაარსის და ლექსიკის განცხადებით“, – ნათქვამია გვარამიას განცხადებაში, რომელიც სოციალურ ქსელ ფეისბუქში მის პირად გვერდზე გავრცელდა.

ცნობისთვის, საქალაქო სასამართლოში ნიკა გვარამიას საქმის მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ განცხადება გაავრცელა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ნიკა გვარამიას საქმეზე განაჩენის გამოცხადების შემდეგ შეხვედრა ჰქონდა აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელთან, რომელმაც უთხრა, რომ ელჩს აინტერესებდა, რატომ მიიღო გამამტყუნებელი განაჩენი და გამოიყენა სასჯელად თავისუფლების აღკვეთა.

როგორც მოსამართლე აცხადებს, მას აშშ-ის საელჩოს თანამშრომელმა უთხრა, რომ აშშ-ში გასამგზავრებელ მოსამართლეთა სიიდან ამოიღეს.

## თბილისში ჯგუფურად პროსტიტუციის ხელშეწყობისა და პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე 9 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულებრივი ჯგუფის 9 წევრი დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, 1980 წელს დაბადებული გ.ფ., 1968 წელს დაბადებული კ.მ., 1960 წელს დაბადებული მ.ლ. 1981 წელს დაბადებული ა.მ., 1978 წელს დაბადებული ლ.მ., 1968 წელს დაბადებული ი.ბ., 1978 წელს დაბადებული თ.ბ., 2000 წელს დაბადებული გ.ჩ. და 1976 წელს დაბადებული გ.მ. ჯგუფურად პროსტიტუციის ხელშეწყობისა და პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით არიან დაკავებული.

როგორც შსს-ში განმარტავენ, დანაშაულები 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ პროსტიტუციაში ჩაბმული ქალები თბილისში მდებარე სასტუმროებში – „საბუდარასა“ და „არგოში“, ასევე, ამავე დაწესებულებების ბარებში სისტემატურად იკრიბებოდნენ, მფლობელის – გ.-ს. და ადმინისტრაციის თანამშრომლების მითითებით, სასტუმროში მისულ პირებს, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, სექსუალურ მომსახურებას უწევდნენ.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ სასტუმროების – „არგოსა“ და „საბუდარას“ ადმინისტრატორები ორგანიზებას უწევდნენ სექსუალური მომსახურების მსურველი მამაკაცებისა და პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების ერთმანეთთან დაკავშირებას. ამ მიზნით ისინი სასტუმროს ნომრებს საათობრივად აქირავებდნენ, ხოლო დაცვის თანამშრომლები პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების უსაფრთხოებას იცავდნენ, საჭიროების შემთხვევაში კი აღნიშნული ქალებისა და მათი კლიენტების ავტომანქანით გადაადგილებას უზრუნველყოფდნენ. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები პროსტიტუციის ხელშეწყობითა და პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემით სოლიდურ შემოსავლებს იღებდნენ.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ჩხრეკისას შედეგად, დიდი ოდენობით ფული ნივთმტკიცებად ამოიღეს.

საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 254-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, ასევე, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს ორგანიზებული ჯგუფის მიერ პროსტიტუციის ხელშეწყობასა და პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემას“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

## თბილისის აეროპორტში არადეკლარირებული თანხა გამოავლინეს

საბაჟო გამშვებ პუნქტ „თბილისის აეროპორტში“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, რუსეთის ფედერაციისა და სომხეთის მოქალაქეების გ.ა.-სა და ნ.გ.-ს როგორც ფიზიკური, ასევე, კუთვნილი ბარგის დეტალური დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული თანხა, ჯამში, 91.900 აშშ დოლარი და 180 ავსტრალიური დოლარი გამოავლინეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, არადეკლარირებული თანხის საერთო რაოდენობამ, ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით, ჯამში 170.400.1 ლარი შეადგინა.

უწყების ცნობით, საქართველოს საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ სომხეთის მოქალაქეს სანქციის სახით ფულადი ჯარიმა 10518.1 ლარი შეეფარდა, ხოლო რუსეთის ფედერაციის მოქალაქე 15.988 ლარით დაჯარიმდა.

## მარნეულში 60 წლამდე მამაკაცი მოკლეს

მარნეულის მუნიციპალიტეტში მკვლელობა მოხდა. სოფელ მეორე ქესალოში 60 წლამდე ასაკის მამაკაცი დაჭრეს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა.

ადგილობრივების ინფორმაციით, 50 და 60 წლამდე ასაკის მამაკაცებს შორის დაპირისპირების მიზეზი სადავო მიწის ნაკვეთი გახდა.

მათ შორის სიტყვიერი შელაპარაკება კი დაჭრითა და 60 წლამდე ასაკის კაცის გარდაცვალებით დასრულდა.

საქართველოს პროკურატურამ, მარნეულის მუნიციპალიტეტში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გენერალური პროკურატურიდან აცნობეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 14 ივლისს, მარნეულის მუნიციპალიტეტის, სოფელ მეორე ქესალოში ა.ი-მ, წარსულში არსებული უთანხმოების გამო, შურისძიების მოტივით, სანადირო თოფიდან გასროლით ტ.ფ-ს სიცოცხლისთვის საშიში, მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული ჭრილობის შედეგად დაზარალებული საავადმყოფოში მიყვანიდან მალევე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 15 ივლისს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს უკვე მიმართა.

## გუდაურში პარაპლანის ჩამოვარდნის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა, ერთი კი დაშავდა

გუდაურში პარაპლანის ჩამოვარდნის შედეგად ერთი ადამიანი ადგილზე გარდაიცვალა, ერთი კი დაშავდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განუცხადეს, მაშველებმა ხევიდან ორივე პირის ამოყვანა შეძლეს. დაშავებული ამ დროისთვის სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი და შესაბამისი დახმარება უტარდება.

# ზელენსკი: „ჩვენ გავუძლებთ, ჩვენ გავიმარჯვებთ“



– ჩვენ ასეთი ომის დროს შევძელით ევროკავშირში წევრობაზე კანდიდატის სტატუსის მიღება, შევინარჩუნეთ სახელმწიფო ინსტიტუტების სიმყარე, გადავაწყვეთ ენერგეტიკული სისტემა – ჩვენ გავუძლებთ, ჩვენ გავიმარჯვებთ.

ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ვიდეომიმართვაში ისაუბრა.

მისი თქმით, 32 წლის წინ ამ დღეს უკრაინის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ დეკლარაცია იქნა მიღებული და დღეს, როდესაც უკრაინელი ხალხი იბრძვის დამოუკიდებლობისთვის, ისინი თავიანთი უფლებების ფარგლებში რჩებიან ისტორიულად, პოლიტიკურად, კულტურულად და, რაც მთავარია, იურიდიულად.

– 32 წლის წინ ამ დღეს უკრაინის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ დეკლარაცია იქნა მიღებული. მრავალი წლის შემდეგ ეს ამ დონის პირველი დოკუმენტი იყო, რომელმაც განამტკიცა ჩვენი ხალხის უფლება, ეცხოვრა დამოუკიდებლად და დემოკრატიულად. დეკლარაციის ზოგიერთი პუნქტი იმ დროის რეალობასა და იმედებს ასახავდა, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში სუფევდა. 32 წლის შემდეგ, დონბასში ომის 8 წლის შემდეგ და რუსეთის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი ომის 143-ე დღეს შეიძლება მოგეჩვენოს, რომ დეკლარაციის ტექსტი შეიძლება სხვანაირი ყოფილიყო, მათ შორის უსაფრთხოების თვალსაზრისით, მაგრამ იმ დროში ეს ტექსტიც რევოლუციური იყო. დეკლარაციამ უკრაინის სახელმწიფოებრიობის ტრადიცია აღადგინა და სწორედ მის საფუძველზე შემდგომ იქნა მიღებული უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი. და დღეს, როდესაც ჩვენი ხალხი იბრძვის დამოუკიდებლობისთვის, ჩვენ ჩვენი უფლებების ფარგლებში ვართ სიტყვის მთელი გაგებით – ისტორიულად, პოლიტიკურად, კულტურულად და, რაც მთავარია, იურიდიულად. მათ შორის ამასაც ეფუძნება ჩვენი ხალხის გამარჯვების რწმენა.

ჩვენ ასეთი ომის დროს შევძელით ევროკავშირში წევრობაზე კანდიდატის სტატუსის მიღება, შევინარჩუნეთ სახელმწიფო ინსტიტუტების სიმყარე, გადავაწყვეთ ენერგეტიკული სისტემა, გადავამისამართეთ ყველა ლოჯისტიკური პროცესი ქვეყანაში – სამხედრო და ეკონომიკური და, რაც მთავარია, ვინარჩუნებთ შინაგან ერთობას, გადავლახეთ რა წარსულში ხელისშემშლელი კონფლიქტები და აზრთა სხვადასხვაობა.

ჩვენ ყველას უნდა გვესმოდეს შეცდომებისა და განხეთქილების ფასი, რომელმაც წინა თაობებს გაურთულა გზა იმ შედეგებამდე, რომლებსაც დღეს მივაღწიეთ. უნდა გვახსოვდეს, რამდენი რამის გადატანა მოუხდა ჩვენს ხალხს, სანამ სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის აღდგენა შესაძლებელი გახდებოდა. ჩვენ გავუძლებთ, ჩვენ გავიმარჯვებთ, დავიბრუნებთ ყველაფერს, ავაშენებთ ჩვენს ცხოვრებას. ჩვენ ამას ერთად გავაკეთებთ, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთბრძოლის გარეშე. ეს ჩვენი მოვალეობაა ჩვენი ერის ყველა თაობის მიმართ, რომელიც იბრძოდა ჩვენი თავისუფლებისა და სუვერენიტეტისთვის. მადლიერი ვარ ყველასი, ვინც იბრძვის უკრაინისთვის, ვინც მუშაობს გამარჯვებისთვის და ვინც იცავს ჩვენს ხალხს. ვდგავართ ერთად! დიდება უკრაინას! – განაცხადა ზელენსკიმ.

# ოკუპანტებმა ვინიცა დაბომბეს



პუტინის არმია ისევ უდანაშაულო ხალხს ხოცავს. ოკუპანტებმა ამჯერად ვინიცა დაბომბეს. დაღუპულია ათობით ადამიანი, მათ შორის 3 ბავშვია. მინიმუმ 15 ადამიანი უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება. კიდევ 52 ადამიანის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა. საავადმყოფოში ასობით მოქალაქე გადაიყვანეს.

ქალაქი კვამლშია გახვეული. ცენტრი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. იწვის შენობები, საცხოვრებელი კორპუსები და ავტომობილები.

რუსეთის საოკუპაციო ძალებმა, პრაქტიკულად, ვინიცას ცენტრზე კალიბრის ფრთოსანი რაკეტებით დარტყმები განახორციელეს. იერიში განხორციელდა შავი ზღვიდან, რუსული წყალქვეშა ნავიდან. გაისროლეს კალიბრის ტიპის 3 ფრთოსანი რაკეტა. უკრაინის საჰაერო თავდაცვის ძალებმა მტრის ორი რაკეტა ჩამოაგდეს. განადგურებულია სამოქალაქო ობიექტები, ოფისები და საცხოვრებელი კორპუსები, მოედანი, სადაც ბევრი მშვიდობიანი მოქალაქე იმყოფებოდა. ხალხი შვილებთან ერთად სეირნობდა. დაღუპულებს შორის არიან ბავშვები. მსხვერპლს ისევ ვითვლით, – აცხადებს უკრაინული მხარე.

ვინიცაში სარაკეტო იერიშებს უკრაინის პრეზიდენტი გამოეხმაურა და მომხდარს ტერორისტული აქტი უწოდა. ვოლოდიმირ ზელენსკის თქმით, რუსი სამხედროები მკვლელები არიან, რომლებიც მშვიდობიან მოქალაქეებს არ ინდობენ.

# ესტონეთის მთავრობა გადადგა



ესტონეთის პრემიერ-მინისტრი კაია კალასი ქვეყანაში ახალი სამთავრობო კოალიციის შექმნის მიზნით გადადგა.

მედიის ინფორმაციით, ის პარლამენტის რიგგარეშე სხდომას მოიწვევს, რათა მოითხოვოს მანდატი ახალი სამთავრობო კოალიციის შესაქმნელად კონსერვატიულ პარტია „სამშობლოსა“ და ოპოზიციურ „სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან“.

კალასის განცხადებაში ნათქვამია, რომ ახალი მთავრობის ფორმირებისთვის მოქმედი უნდა გადადგეს.

შეგახსენებთ, „ესტონეთის რეფორმის პარტიამ“, პარტია „სამშობლომ“ და „სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ“ სამთავრობო კოალიციის შექმნის შესახებ შეთანხმებას მიაღწიეს. აღნიშნულ სამ პარტიას ესტონეთის 101– ადგილიან საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობა ექნება.

# საბერძნეთში სატვირთო თვითმფრინავი ჩამოვარდა



საბერძნეთის ჩრდილოეთით, ქალაქ კავალასთან ახლოს, სატვირთო თვითმფრინავი ჩამოვარდა.

მედიის ცნობით, „ანტონოვ-12“, რომელსაც უკრაინაში დაფუძნებული კომპანია მართავდა, სერბეთიდან იორდანიაში მიფრინავდა.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენი ადამიანი იმყოფებოდა ბორტზე, მაგრამ, ზოგიერთი დაუდასტურებელი ცნობით, თვითმფრინავში, შესაძლოა, რვა ადამიანი იმყოფებოდეს. საბერძნეთის სახელმწიფო მაუწყებლის ინფორმაციით, თვითმფრინავს 12-ტონიანი ტვირთი გადაჰქონდა. გავრცელებული ინფორმაციით, პილოტმა კავალას აეროპორტში ავარიული დაშვება მოითხოვა ძრავის პრობლემის გამო, თუმცა ასაფრენ-დასაფრენ ბილიკზე მისვლა ვერ შეძლო.

თვითმხილველები ირწმუნებიან, რომ მათ აფეთქებების ხმაც გაიგონეს.

ადგილობრივმა ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ შვიდი სახანძრო მანქანა იყო მობილიზებული, მაგრამ ისინი შემთხვევის ადგილს განგრძობადი აფეთქებების გამო ვერ მიუახლოვდნენ. სახანძრო ბრიგადის ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, ისინი თვითმფრინავზე არსებულ ტვირთს საშიშ მასალად განიხილავენ.

# ევროპაში ტყის ხანძრებს ებრძვიან — ევაკუირებულია ათასობით ადამიანი

დასავლეთ ევროპაში ტყის ხანძრის გამო ათასობით ადამიანია ევაკუირებული. მეხანძრეები სტიქიას საფრანგეთის, ესპანეთისა და პორტუგალიის სხვადასხვა ნაწილში ებრძვიან.

სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში, ჟირონდას რეგიონში, 12000-ზე მეტი ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა, სადაც ძლიერმა ქარმა ფიჭვის ტყეებში გაჩენილი ხანძრის ჩაქრობის მცდელობები ჩაშალა. ხანძარია ბორდოს სამხრეთითაც.

უჩვეულოდ მაღალი ტემპერატურის შედეგად გამოწვეულ სტიქიას მეხანძრეები ესპანეთშიც ებრძვიან. ქვეყნის ზოგიერთ ნაწილში ტემპერატურამ 45,7 გრადუსამდე მიაღწია. ქვეყნის სამხრეთით, კოსტა დელ სოლთან ახლოს გაჩენილი დიდი ხანძრის გამო სახლებიდან 3000-ზე მეტი ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა.

ხანძრებს ებრძვიან პორტუგალიაშიც, სადაც ასევე ასობით ადამიანის ევაკუაცია გახდა საჭირო. ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს განცხადებით, 7-დან 13 ივლისამდე პერიოდში პორტუგალიაში სიცხემ 238 ადამიანი იმსხვერპლა. სინოპტიკოსების პროგნოზით, რეკორდულად მაღალი ტემპერატურა, სავარაუდოდ, ამ კვირაშიც გაგრძელდება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



2022, 18 ივლისი, №139

# საქართველომ ზაფხულის სერია მოგებით დახურა



საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა 2022 წლის ზაფხულის სერიის დასკვნით მატჩში პორტუგალია 23:14 დაამარცხა და ახლა შემოდგომამდე იუქმებს.

ეს იყო ამ გუნდების 24-ე დაპირისპირება, რომელთაგან 17 საქართველოს გამარჯვებით დასრულდა, 3 შეხვედრა ფრედ დასრულდა. აღსანიშნავია, რომ 2006 წლის შემდეგ „ბორჯღალოსნებს“ ლობუშთან წაუგებელი სერია აქვს – 14 მოგება და 3 ფრე.

ქუთაისში გამართული მატჩი რამდენიმე მორაგბისთვის მნიშვნელოვანი იყო. სანდრო თუდუამ ნაკრების კვართით მე-100 კეპი მოიხვეჭა და მე-4 ქართველი ცენტურიონი გახდა. ამ ფაქტის აღმნიშვნელი კეპი ვეტერანმა „ბორჯღალოსანმა“, თავადაც ცენტურიონმა (122 თამაში) და ჩატარებული მატჩებით რეკორდსმენმა დავით კაჭარავამ გადასცა. მერაბ შარიქაძემ გუნდს 39-ედ უკაპიტნა და ამ მაჩვენებლით ირაკლი აბუსერიძეს გაუტოლდა, მომდევნო შეხვედრა კი მისთვის სარეკორდო იქნება.

ეროვნული გუნდის კვართით პირველად ითამაშეს მიხეილ ბაბუნაშვილმა და ბექა შვანგირაძემ. სასტარტო შემადგენლობაში პირველად გამოჩნდნენ ნიკა აბულაძე და ლადო ჩაჩანიძე, რომლებსაც დებიუტი იტალიასთან ჰქონდათ.

ხაზგასასმელია კიდევ ერთი მომენტი. ზაფხულის სერიის სამ მატჩში საქართველომ 8 ლელო გაიტანა, საიდანაც 7 ხაზის მოთამაშეებზე მოდის – თედო აბჟანდაძე (3), დავით ნინიაშვილი (2), სანდრო თოდუა და მირიან მოდებაძე (1-1). მორკინალებიდან ლელო ნოდარ ჭეიშვილის ანგარიშზეა.

პირველ ტაიმში მოედანზე თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა და „ბორჯღალოსნებმა“ მხოლოდ დასკვნით წუთებში შეძლეს სალელოვე შეტევების განხორციელება, მაგრამ სტუმრებმა თავი დაიცვეს. ამ ნახევარში ხშირად ვჯარიმდებოდით, რის გამოც მეტოქის ნახევარზე ფეხის მოკიდება ჭირდა.

საწყის 10 წუთში თედო აბჟანდაძემ 40 მეტრიდან 2 ჯარიმა გაიტანა. ჩვენი შეცდომების ფონზე, პორტუგალია მაღალ ტემპში, ხელდახელ ცდილობდა შეტევას, მაგრამ დაცვა გაუვალი იყო, მეტოქეს ხშირად უკანაც ახევინებდა და პორტუგალიამაც ქულები კარში დარტყმით აიღო. პირველი დარტყმა კი გაუცუდდათ, მაგრამ ნუნო სოზა-გედეშმა 23-ე წუთამდე 2 ზუსტი დარტყმა შეასრულა და წონასწორობა აღადგინა.

ამის შემდეგ საქართველოს უპირატესობა გამოიკვეთა. 27-ე წუთზე სტუმრებმა ჩვენი ხელდახელ შეტევა ჯარიმით შეაჩერეს და აბჟანდაძემ უპირატესობა დაგვიბრუნა. მალევე კიდევ ერთი შანსი მიეცა, მაგრამ 45 მეტრიდან მიზანმა ოდნავ უმტყუნა.

ტაიმის ბოლომდე დარჩენილი წუთები „ბორჯღალოსნებმა“ იერიშებში გალიეს. 2-ჯერ ლელოს ხაზის გადაკვეთაც მოხერხდა, მაგრამ მცველებმა ბურთის დამიწების შესაძლებლობა არ მოგვცეს, დავით ნინიაშვილს კი მიზნამდე სულ ცოტა დააკლდა.

მე-2 ტაიმი საქართველოს შეტევებით დაიწყო. გუნდი მაღალ ტემპში, ორგანიზებულად თამაშობდა, მაგრამ უშედეგოდ და 50-ე წუთზე პორტუგალიამ ჯარიმით კიდევ ერთხელ შეძლო წონასწორობის აღდგენა.

საპასუხოდ „ბორჯღალოსნებმა“ ჯარიმა კარში აღარ დაარტყეს, შერკინებიდან შეუტიეს, ნინიაშვილმა გრძელი პასით მირიან მოდებაძე მოძებნა, რომელსაც ლელოს გატანა აღარ გასჭირვებია. აბჟანდაძემ რთული პოზიციიდან გარდასახა.

მასპინძელთა დომინირება ამის შემდეგაც გაგრძელდა, მაგრამ სტუმრებმა შეძლეს თავის დაცვა და მატჩის მიწურულს საქართველოსთან ზედიზედ მე-2 და სულ მე-4 მატჩის ფრედ დასრულების იმედი გაუჩნდათ, როდესაც როდრიგუ მატამ ხაზი გაჭრა და ლელო გაიტანა, მაგრამ გარდასახვა ძელმა აისხლიტა და საქართველო 2 ქულით წინ დარჩა.

დარჩენილ 3 წუთში საქართველო კვლავ მეტოქის 22-ში დაბრუნდა, შერკინებიდან ბურთი ხაზზე გავიდა, ვასილ ლობჟანიძემ ფეხით მარჯვენა ფრთაზე გადაკიდა, მოდებაძე 2 მცველს შორის შევიდა, ბურთი შეინახა, რაქიდან კი ნინიაშვილმა ჯიქურ შეუტია და ლელო გაიტანა, აბჟანდაძემ გარდასახვით წერტილი დასვა – 23:14.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

### მამაკაცმა საკუთარი სახლის ვერანდის ქვეშ განძს მიაგნო



ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ უაილდვუდის მცხოვრებმა გადაწყვიტა, საკუთარი სახლის შესაკეთებელი სამუშაოები დაეწყო და ვერანდის ქვეშ განძს მიაგნო.

ოთხი წლის წინ რიჩ გილსონმა და მისმა მეუღლემ სიუზანამ 1920-იან წლებში აშენებული კოტეჯი იყიდეს. მათ სახლი ასწიეს და ახალ ფუნდამენტზე დადგეს. ძველის მოსაშორებლად გილსონმა მინი ექსკავატორი გამოიყენა. აღნიშნული სამუშაოების შესრულებისას მამაკაცმა ორი უცნაური ნივთი აღმოაჩინა.

– ვიფიქრე, ნაგავი იყო, ავწიე და გვერდით გადავყარე, – იხსენებს გილსონი. ორი დღის შემდეგ მამაკაცი ნაპოვნით ისევ დაინტერესდა. ის მიხვდა, რომ ესენი იყო გადახვეული ქაღალდები, რომლებსაც რეზინი ჰქონდა გადაჭერილი.

– მათ კარგად დავაკვირდი, მომწვანო შეფერილობა შევნიშნე და მივხვდი, რომ ფული იყო. ისინი რაღაცით ერთად დაწყობილ მინი-სიგარებს წააგავდნენ, – აღნიშნა მამაკაცმა.

ამგვარად მან და მისმა მეუღლემ ათასი დოლარი იპოვეს 10 და 20 დოლარიანი კუპიურებით, რომლებიც 1934 წელს იყო დაბეჭდილი.

გილსონი ფიქრობს, რომ ნაპოვნი თანხა შესაძლოა არალეგალურ საქმიანობასთან იყოს კავშირში. 1930-იანი წლების ფასებზე გადაანგარიშებით ნაპოვნი თანხა დღევანდელი 20 ათასი დოლარის ეკვივალენტურია.

მამაკაცის თქმით, ის ფულის თავისთან დატოვებას აპირებს. ის არ აპირებს მის დახარჯვას, ვინაიდან ეს ისტორია უფრო მეტად ფასეულია, ვიდრე თავად თანხა.

### საავადმყოფოს პაციენტებმა იქ შეპარული გიენა მოკლეს



ტანზანიაში ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებლები გაუსწორდნენ გიენას, რომელიც ღამით საავადმყოფოში შეიპარა.

აღნიშნული ინციდენტი ლინდის ოლქში 11 ივლისს მოხდა. მტაცებელმა ღამით შეაღწია სამედიცინო დაწესებულების ტერიტორიაზე, რომელიც სოფელ ნანდაგალის მახლობლად მდებარეობს და დაწესებულების პაციენტები და პერსონალი შეაშინა.

საავადმყოფოს დაცვის სამსახურის თანამშრომელმა იბრაჰიმ ისაიამ განაცხადა, რომ გიენა შიგნით მაშინ შეიჭრა, როდესაც კარი გააღეს, რათა იქიდან სასწრაფო დახმარების მანქანა გამოსულიყო.

– გიენამ ამ მომენტით ისარგებლა, რათა შენობაში შეჭრილიყო. მე იქით გავიქეცი, ვინაიდან ხალხმა ყვირილი ატეხა. შემდეგ ზოგიერთი იქ მყოფი ცხოველს თავს დაესხა და ცემა დაუწყო, – იხსენებს დაცვის თანამშრომელი.

სოფლის მკვიდრის სეიფუ ჰამისის თქმით, ის ყვირილმა გააღვიძა და იმის გასარკვევად გაიქცა, თუ რაში იყო საქმე.

– დავინახე, რომ გიენა პირდაპირ ჩემკენ მორბოდა, მას მაშინვე ისარი ვესროლე და შემდეგ კიდევ ორი მოვარტყი. ამის შემდეგ ცხოველი დაეცა და მას ხალხის ბრბო დაესია, რომლებიც სხვადასხვა საგნებით იყვნენ შეიარაღებული, მაჩეტები, ქვებით და ა.შ. – განაცხადა მან.

ნანდაგალის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა და ადგილობრივი პოლიციის უფროსმა დაადასტურეს, რომ მტაცებელმა ცხოველმა ნამდვილად შეაღწია საავადმყოფოში და ის იქ ხალხმა მოკლა.

### კრაზანები ფერმერს თავს დაესხნენ და მოკლეს



ხორვატიაში კრაზანების გუნდი მინდორში მომუშავე ორ მამაკაცს თავს დაესხა და ერთ-ერთი მათგანი მოკლა.

58 წლის მამაკაცი მეგობარს მინდორში მუშაობაში ეხმარებოდა. როდესაც მათ თივის ბულული გადაატრიალეს, იქიდან კრაზანების გუნდი გამოიჭრა და მათ თავს დაესხა.

მამაკაცები გაიქცნენ და თავი სახლს შეაფარეს, თუმცა მწერებმა მათი დაკბენა მაინც მოასწრეს. მეგობრებიდან ერთ-ერთი გარკვეული დროის შემდეგ ცუდად გახდა. ადგილზე გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადა მივიდა, მაგრამ მამაკაცის გადარჩენა ველარ მოხერხდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ხვიჩა კვარაცხელია: „ნაპოლიში ჩემი ფეხბურთის სათამაშოდ მოვედი“

ხვიჩა კვარაცხელია იტალიასა და ნაპოლის უშინაურდება. იტალიურ გუნდში ხვიჩას დებიუტი შედგა, მაგრამ ჯერ მხოლოდ ამხანაგურ მატჩში და ნაპოლი სამოყვარულო კლუბ ანაუნეს ეთამაშა. კვარამ მოედანზე მხოლოდ ერთი ტაიმი გაატარა, 2 გოლიც გაიტანა და საგოლე პასი მიითვალა, ნაპოლიმ კი მატჩი 10:0 მოიგო.



მატჩის შემდეგ ნეაპოლიტანურმა გუნდმა კვარაცხელია ჟურნალისტებთან წარადგინა და ჩვენებურმა იტალიელთა შეკითხვებს უპასუხა.

**ხვიჩა კვარაცხელია:**

– აქ ყოფნა ჩემთვის ძალიან დიდი სტიმულია. ნაპოლი ძალიან დიდი გუნდია და აქ იმისთვის მოვედი, რომ დიდი ფეხბურთი ვითამაშო. ლორენცო ინსინიე დიდი ფეხბურთელია, გუნდის ლეგენდაა, მაგრამ ნაპოლიში არავის შესაცვლელად არ მოვსულვარ. აქ იმისთვის ვარ, რომ ყველას ჩემი მაქსიმუმი ვანახო...

ვფიქრობ, აქ გადმოსვლით სწორი გადაწყვეტილება მივიღე და ამას დროც გვანახებს. ლუჩანო სპალეტის ნეაპოლში ჩამოსვლამდე შევხვდი. ძალიან კარგი მწვრთნელი და ადამიანია, რომლისგანაც უკვე ბევრი ვისწავლე და მომავალშიც ბევრს ვისწავლი...

იტალიური ენის სწავლა უკვე დავიწყე და, დიდი იმედი მაქვს, რომ რამდენიმე თვეში ბევრად მეტი მეცოდინება. საფეხბურთო ტერმინები თითქმის ყველაფერი ძალიან მარტივია და მალევე ვისწავლე...

როცა პატარა ქვეყნიდან ასეთ დიდ გუნდში მიდის ფეხბურთელი, ეს ქვეყნისთვის ძალიან კარგია და წაადგება...

ნეაპოლზე მითხრეს, რომ ძალიან ლამაზი ქალაქია და, როცა ჩამოვედი, მართლა საოცრება დამხვდა. ასეთი ლამაზი ქალაქი ჯერ არ მინახავს. ვიცი, რომ ფანები ფეხბურთზე ძალიან შეყვარებული არიან...

მაისურზე ჩემს გვარს დავიწერ, მაგრამ, შეგიძლიათ, კვარა დამიძახოთ. არ ვიცი, ზუსტად რამდენი გოლის გატანა მინდა, თუმცა მაქსიმუმს გავაკეთებ, რომ იმაზე მეტი გავიტანო, ვიდრე საჭიროა. 77 ნომერი იმიტომ ავირჩიე, რომ ციფრი 7 მიყვარს. დარჩენილი იყო ორი შვიდიანი და ამ ნომრის აღება ამიტომ გადავწყვიტე...

ჯერჯერობით ვერცერთ ფეხბურთელს ვერ გამოვყოფ. ყველა დიდი ფეხბურთელია და ძალიან მაინტერესებდა, მოედანზე რა შეეძლოთ...

ბოლო პერიოდში ბევრი შემოთავაზება მქონდა, მაგრამ ნაპოლის წინადადება ყველაზე რეალური იყო, ყველაზე მეტად გამოთქვამდა სურვილს და ბევრი არ მიფიქრია...

ახლა რა პოზიციაზეც ვთამაშობ, ის პოზიცია ჩემთვის საუკეთესოა, მაგრამ, სადაც გუნდს დასჭირდება, იქ უნდა ვითამაშო, რადგან ფეხბურთელი ვარ და მწვრთნელის დავალება უნდა შევასრულო...

ნაპოლის ფანების გაოცება ცოტა რთული იქნება, რადგან ამ გუნდში მარადონა თამაშობდა, მაგრამ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემი თამაშით თავი მოვაწონო და გუნდისთვის მაქსიმუმი გავაკეთო...

მინდა, გუნდს მაქსიმალურად დავეხმარო. კვარადონას მეტსახელი? ნაპოლისთვის მარადონა ყველაფერს ნიშნავს და ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, როცა ასეთ სახელს გიწოდებენ. რა თქმა უნდა, მარადონას ვერ შევედრები, მაგრამ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ნეაპოლელები ჩემით კმაყოფილი იყვნენ.

## ევროთასებზე საბურთალომ საქართველოს პრესტიჟი დაიცვა

**პარტიზანი-საბურთალო 0:1 (4:5პ)**

**ტირანა. ელბასან არენა**

0:1 სიხარულიძე (53)

**პენალტების სერია:** 0:0 ჯინჯოლავა (მეკარე), 0:0 ატანასკოსკი (მეკარე), 0:1 ჩადუნელი, 1:1 ბიტრი, 1:2 გულიაშვილი, 2:2 ტელუში, 2:2 ლ.ნონიკაშვილი (მეკარე), 3:2 სკუკა, 3:3 სიხარულიძე, 3:3 რაპაი, 3:4 გოჩოლეიშვილი, 4:4 სოტა (ძელი), 4:5 გ.მამაგეიშვილი, 4:5 გეიე (მეკარე)

**პარტიზანი:** ტაგჯა, ბიელიცა, ბიტრი, ატანასოვსკი, ჰადროი (სოტა 91), მურატაი (ნაგუეტე 76), ჰოტი (ცვეტანოსკი 46), რაპაი, მასანგა, კარა (ნდრეკა 83), სკუკა

**საბურთალო:** მეგრელიშვილი, კაკუბავა, ჩადუნელი, შ.ნონიკაშვილი (ქარდავა 62), გოჩოლეიშვილი, გოშთელიანი (ლ.ნონიკაშვილი 62), მიოჩი (გ.მამაგეიშვილი 105), ჯინჯოლავა, ტაბატაძე (ო.მამაგეიშვილი 67), სიხარულიძე, გულიაშვილი

თბილისის „საბურთალო“ ერთადერთი ქართული გუნდია, რომელმაც მიმდინარე სეზონში ევროტურნირებზე ბარიერის გადალახვა მოახერხა და ლაშა ნოზაძის გუნდი კონფერენს ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს.

საბურთალომ ალბანურ გუნდთან გორში 0:1 წააგო და საპასუხო შეხვედრაში აუტსაიდერად მიიჩნეოდა, მაგრამ ძალიან კარგად ითამაშა და მომდევნო ეტაპზე დამსახურებულად გავიდა.

აღსანიშნავია, რომ საბურთალო მეოთხე ქართული გუნდია, რომელმაც შინ წაგებული მატჩის შემდეგ მოახერხა და შემდეგ ეტაპზე გავიდა. აქამდე ეს თბილისის ამერს (ბანანცთან), გორის დილასა (ანორთოსისთან) და ბათუმის დინამოს (ბატესთან) მოუხერხებიათ.

დედაქალაქური გუნდი მთელი თამაშის განმავლობაში უკეთესი იყო, უფრო მეტი მომენტი შექმნა და მეტსაც იმსახურებდა. თუმცა, 120 წუთში მხოლოდ ერთი გოლი გავიდა, რომელიც 53-ე წუთზე ირაკლი სიხარულიძემ გაიტანა. შედეგად, 2 მატჩის ჯამში თანაფარდობა აღდგა – 1:1.



გამარჯვებულის ვინაობა პენალტების სერიაში გაირკვა, სადაც საბურთალო უკეთესი იყო. გუნდებმა 7-7 დარტყმა შეასრულეს, თბილისელებმა 5 გოლი გაიტანეს, მეტოქემ – 4. ლაშა ნოზაძის გუნდის გმირი მეკარე თორნიკე მეგრელიშვილი იყო, რომელმაც 2 პენალტი მოიგერია და თავისი გუნდი მომდევნო ეტაპზე გაიყვანა.

საბურთალო მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბუქარესტის სტიაუას შეხვდება. პირველი მატჩი გორში 21 ივლისს გაიმართება, ხოლო საპასუხო 28 ივლისს – რუმინეთში.

**პაიდე-დინამო (თბ) 1:2 (6:5პ)**

0:1 სხირტლაძე (69), 0:2 ანტილევსკი (93), 1:2 სინატე (115პ)

**პენალტების სერია:** 1:0 მოსნიკოვი, 1:1 ანტილევსკი, 2:1 პალუმეტსი, 2:2 კუცია, 3:2 ტამბედუ, 3:3 ოსეი, 4:3 საარმა, 4:4 კამარა, 5:4 სინატე, 5:5 გაბედავა, 6:5 პიჰტი, 6:5 ხარაბაძე (მეკარე)

**პაიდე:** აკსალუ, კლავანი, ოიამაა (პალუმეცი 90), სალისტე, იუსიფი, ფროლოვი (მოშნიკოვი 79), მოოლი, სიმონი (ტამბედუ 101), სააგი (სინგატე 59), ლუტსი (პიჰტი 76), ოვუსუ (საარმა 101)

**დინამო:** პრიეტო, მალი, ბენიო, კობოური (კალანდაძე 90), ხარაბაძე, მოისწრაფიშვილი (კამარა 59), ოსიყმაშვილი, კირკიტაძე (გაბედავა 68), ოსეი, იმრანი (კუცია 59), სხირტლაძე (ანტილევსკი 79)

თბილისის დინამომ კონფერენს ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლა ვერ მოახერხა, მიუხედავად იმისა, რომ ორრაუნდიანი მატჩის შემოტრიალებასთან ძალიან ახლოს იყო.

გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდმა შინ პაიდესთან 2:3 წააგო, მაგრამ ვითარების გამოსწორება ესტონეთში მოახერხა, სადაც ძირითად დროშიც იმარჯვა და დამატებით დროშიც კიდევ უფრო დაწინაურდა, მაგრამ...

თბილისელები მეტოქეზე უკეთ თამაშობდნენ და პირველ ტაიმში რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ რეალიზება ვერ მოახერხეს. ქართულმა გუნდმა 69-ე წუთზე მაინც გაიტანა – უსმანე კამარას პასით დავით სხირტლაძემ ახლო მანძილიდან ანგარიში გახსნა – 0:1.

ვინაიდან სტუმრად გატანილი გოლის წესი აღარ მოქმედებს, 2 მატჩის ჯამში თანაფარდობა იყო და დამატებითი დრო დაინიშნა. 93-ე წუთზე კამარამ კიდევ ერთხელ ითამაშა შესანიშნავად და ამჯერად საგოლე პასი დმიტრი ანტილევსკის გაუკეთა – 0:2.

დინამომ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. 115-ე წუთზე ებრიჰა სინატემ პენალტი მოიპოვა, რომელიც ზამბიელმა თავდამსხმელმა თავად გაიტანა და 2 მატჩის ჯამში ანგარიში გაათანაბრა. შესაბამისად, ყველაფერი პენალტების სერიაში გადაწყდა.

აქ გუნდებმა 6-6 პენალტი შეასრულეს. ანდრეს პრიეტომ ყველა გაუშვა, ხოლო ლევან ხარაბაძემ მეკარეს ვერ აჯობა და მატჩიც აქ დასრულდა.

პაიდე მომდევნო ეტაპზე ისტორიაში პირველად გავიდა.

**დილა-კუპსი 0:0**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

**დილა:** კანევცევი, სანტოსი, ჩიტეიშვილი, ნონდი, ჭიჭინაძე, სილვა, მოსიაშვილი (მადინგა 69), გაგნიძე, ლუდუშაური (გალე 54), სპანდერაშვილი, გომისი (ლომთაძე 75)

**კუპსი:** კრეიდი, ტოივომაკი, რიკარდო (ჰაამალაინენი 26), ტომასი, უზოჩუკვუ, პოპოვიჩი (ჰაარალა 6), დალსტრიომი, კარილო, ბისპო,ანტვი, ვაირინენი

კონფერენს ლიგას გამოეთიშა გორის დილაც, რომელმაც ფინურ „კუპსთან“ პირველი მატჩი სტუმრად 0:2 წააგო, გორში კი სიტუაცია ვერ შეცვალა.

თენგიზ ბურჯანაძეზე უგოლო ფრე დაფიქსირდა და, შესაბამისად, მომდევნო ეტაპზე ფინელები გავიდნენ. ანდრეი დემჩენკოს გუნდი საგრძნობ უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ ეს გოლში ვერ ასახა და ასპარეზობას გამოეთიშა.

## 20 წლამდე ნაკრებმა ბ დივიზიონი მოგებით დაიწყო

თბილისში დაიწყო ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონი 20-წლამდელ კალათბურთელთა შორის. ელიტის საგზურისთვის ბრძოლა წარმატებით დაიწყო მილოშ გლიგორიევიჩის გუნდმა, რომელმაც ავსტრია 16-ქულიანი სხვაობით დაამარცხა – 81:65.

ავსტრიელებმა პირველი მეოთხედი 6 ქულის სხვაობით მოიგეს, მაგრამ გადამწყვეტი მე-2 და მე-3 მეოთხედები აღმოჩნდა, რომლებშიც გლიგორიევიჩის გუნდმა დამაჯერებლად ითამაშა.



ვლადიმერ სალარიძის ანგარიშზე 15 ქულა და 6 მოხსნაა. 12 ქულა, 5 მოხსნა და 4 პასი მოუტანა გუნდს ნიკოლოზ გაფრინდაშვილმა. ლევან ქვარცხავამ 11 ქულა ჩააგდო. ეფექტურობის კოეფიციენტი საუკეთესო ლუკა ლიკლიკაძეს ჰქონდა (16) – მის ანგარიშზე 9 ქულა, 3 მოხსნა და 5 პასია. სამწუხაროდ, ლიკლიკაძემ ტრავმის გამო თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო. წაგებულთა შორის ყველასგან გამორჩეული გილაინ მბემბა იყო – 18 ქულა, 15 მოხსნა და 5 პასი. 22 ქულა და 8 მოხსნა ჰქონდა ნორდინ კაპიჩს.

შეგახსენებთ, რომ ტურნირში 19 ქვეყანა მონაწილეობს, საქართველო ბ ჯგუფში ავსტრიასთან, შვედეთთან, ჩრდილოეთ მაკედონიასთან და კოსოვოსთან ერთად არის. 2 ტურის შემდეგ შვედეთს 2 მოგება აქვს, ჩრდილოეთ მაკედონიას – მოგება და წაგება. საქართველომ და კოსოვომ თითო მატჩი ჩაატარეს – ჩვენების მოგება იციით, კოსოვომ წააგო. 2 წაგებით ბოლო ადგილზე ავსტრიაა.

თითო ჯგუფიდან ფლეი ოფში ბრძოლას 2-2 საუკეთესო ნაკრები გააგრძელებს. მომდევნო მატჩში საქართველო შვედეთს ეთამაშება.

ბ დივიზიონის ჩემპიონი, ფინალისტი და მე-3 ადგილზე გასული გუნდი 2023 წელს უკვე ა დივიზიონში ითამაშებს. საქართველოს ნაკრების მთავარი მიზანი სწორედ სამეულში მოხვედრაა.

## ორი ქართველი პოლონურ გუნდში

პოლონურ გუნდებში ქართველი ფეხბურთელების რაოდენობა იმატებს. გუშინ კიდევ ორმა ჩვენებურმა კონტრაქტი ზაგლებისთან გააფორმა.

საქართველოს ნაკრების მარცხენა მცველი გურამ გიორბელიძე და პოლონური კლუბი 2-წლიან კონტრაქტზე შეთანხმდნენ.

26 წლის მცველი ავსტრიული ვოლფსბერგერის საკუთრება იყო, მაგრამ გასული სეზონი იჯარის წესით დრეზდენის დინამოში გაატარა, რომელიც გერმანიის მე-3 დივიზიონში გავარდა.

3-წლიანია 24 წლის ქართველი შემტევის თორნიკე გაფრინდაშვილის კონტრაქტი. გაფრინდაშვილის ბოლო კლუბი ბათუმის დინამო გახლდათ, მანამდე კი გაგრის ღირსებასაც იცავდა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მითითება, რჩევა-დარიგება, რომელსაც უტოვებენ შთამომავლობას; 2. ციური სხეული; 3. ქართველ ქალთა ძველებური თავსაბურველი; 4. რაიონული ცენტრი კახეთში; 5. სისხლის თხევადი ნაწილი; 9. ეგვიპტის დედაქალაქი; 10. სამთო-სათხილამურო კურორტი სლოვენიაში; 14. სიმღერისა და ცეკვის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 15. დელტაპლანის სახელწოდება ევროპის ქვეყნებში; 16. მოდუღებული ყურძნის წვენი; 19. მაღალხარისხოვანი, არომატული სპირტიანი სასმელი; 20. მდინარე ტოკიოში; 21. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**თარაზულად:** 6. ცოდვების მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 7. საქართველოში გავრცელებული წითელი ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 8. ტბა სომხეთში; 11. სხეულის რომელიმე ნაწილის ნატურალური სიდიდის მოდელი თვალსაჩინოებისთვის; 12. წყნარი, უქარო ამინდი ზღვაზე; 13. ბანქოს სათამაშო მაგიდა; 17. ელჩის გაწვევა სახელმწიფოდან; 18. კოსმონავტის ჰერმეტული კოსტიუმი; 22. ამერიკელი მრეწველი, საძინებელი-სარკინიგზო ვაგონის გამომგონებელი; 23. ჯარის რჩეული ნაწილი; 24. წარმოსახვითი ხაზი, რომელიც დედამიწას ჩრდილო და სამხრეთ ნახევარსფეროებად ყოფს; 25. ნავთობის საბადო კახეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. რემარკა; 2. პოტომაკი; 3. სიმონია; 5. კიშინოვი; 7. გერგეტი; 9. პლაცკარტი; 13. სანტოსი; 15. აიაზმა; 16. მიქლიო; 18. ბრიზი.

**თარაზულად:** 4. რედიკული; 6. პრობაცია; 8. მარკშეიდერი; 10. რეგალია; 11. არია; 12. სტრიპი; 14. კანტი; 17. ჰალვა; 19. დამბა; 20. ალგოლოგი; 21. იედო; 22. ბარბაროსი; 23. დიზაინი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბულონი; 2. ციცქა; 3. ხუანხე; 4. დელიბი; 6. რაციონი; 9. სელბი; 11. კლინიკა; 15. რეპორტაჟი; 16. სიგალი; 17. პუნქტირი; 19. ავსტრია; 21. ბაიკერი; 22. დიდუბე.

**თარაზულად:** 5. ბუდეშური; 7. ამბიცია; 8. ალონსო; 10. ზედლამი; 12. ბჟუჟი; 13. კოლიე; 14. დობერმანი; 18. გენია; 20. ფირუზი; 23. გიურზა; 24. იკეა; 25. რულეტი; 26. ბაჟე; 27. არითმია.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


18 ივლისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8504

ევრო — 2.8658

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3772

100 რუსული რუბლი — 4.8972

## ამინდის პროგნოზი 18 ივლისისათვის




## ლევანდოვსკი ოფიციალურად ბარსელონის ფეხბურთელია



რობერტ ლევანდოვსკი ოფიციალურად ბარსელონის ფეხბურთელია და მან კატალონიურ გუნდთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლევანდოვსკი წელიწადში 9 მილიონ ევროს გამოიმუშავებს. რობერტი უკვე ესპანეთში იმყოფება და რამდენიმე დღეში მას ოფიციალურად წარადგენენ, მანამდე კი ლევანდოვსკი სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

## კვარაცხელია: „მინდა, ჩემი შესაძლებლობები ყველას დავუმტკიცო“



ნაპოლის ახალწვეულმა ხვიჩა კვარაცხელიამ ნაპოლიზე ისაუბრა და თქვა, რომ ის მოუთმენლად ელის თავის დებიუტს და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ყველას ანახოს თავისი შესაძლებლობები:

— ნაპოლიში გადასვლა ჩემს კარიერაში წინ გადადგმული ნაბიჯია და ამ გუნდის შესაძლებლობები კარგად ვიცი. მინდა, ყველამ დაინახოს, რომ მაღალ დონეზე თამაში შემიძლია. ლუჩიანო სპალეტის უკვე ვესაუბრე და, დარწმუნებული ვარ, მისგან ბევრ რამეს ვისწავლი.

## დემბელე: „მიხარია, რომ ბარსელონაში დავრჩი“



ბარსელონის ფორვარდმა უსმან დემბელემ გუნდთან კონტრაქტი გაახანგრძლივა და ამაზე უკვე კომენტარიც გააკეთა, სადაც თქვა, რომ ბედნიერია გუნდში დარჩენით და შეეცდება, მაყურებელს იმედი არ გაუცრუოს:

— ბარსელონას დიდი პოტენციალი აქვს და მიხარია, რომ ამ გუნდის წევრი ვარ. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ბარსელონამ ტიტულები მოიგოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## რეზო შატაკიშვილმა „მთავარი არხი“ დატოვა



რეჟისორმა და ჟურნალისტმა რეზო შატაკიშვილმა ტელეკომპანია „მთავარი არხი“ დატოვა. ამის მიზეზი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაა.

ინფორმაცია რეზომ სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

— ვტოვებ „მთავარ არხს“ მხოლოდ და მხოლოდ ჯანმრთელობის გაუარესების გამო — მთავარი ჯანმრთელობაა.

ძალიან დიდი მადლობა ჩვენი გადაცემების ყველა სტუმარს! დიდი მადლობა ყველა იმ წამყვანს, ვისთანაც კი ამ ორი წლის მანძილზე ვიმუშავე!

მადლობა პროდიუსერებს, ჟურნალისტებს, ოპერატორებს, რეჟისორებს, ხმის ოპერატორებს, მემონტაჟეებს, საეთეროს თანამშრომლებს, დეკორატორებს, ვიზაჟისტებს, სტილისტებს, დამლაგებლებს, დაცვის ბიჭებს, მძღოლებს.

მადლობა არხის ადმინისტრაციას და, რა თქმა უნდა, მადლობა ივანიშვილის ტყვეს, ნიკა გვარამიას!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## იუმორი

ქალს ორი უბედურება აქვს...
— რომლები?
— სარკე და სასწორი... მართალია არის კიდევ პასპორტი, მაგრამ მისი დაკარგვა შეიძლება...

ორი დიდი ხნის უნახავი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:
— ცხვირი რატომ გაქვს ჩაჭყლეტილი, რა, კრივზე დაიწყე სიარული?
— არა, ქალების აბანოში ფანჯრების მწმენდავად ვმუშაობ.

ფოსტალიონი უზარმაზარი ძაღლის გამო ეზოში შესვლას ვერ ბედავს. ამის დანახვაზე დიასახლისმა გამოსძახა:
— ნუ გეშინიათ, დაკოდილია.
— მართლა? მე კი მეგონა, ჩემთვის კბენას აპირებდა...

ერთი ქალი მეორეს უყვება:
— გუშინ გადავწყვიტე, ჩემი ქმარი გამეშაყირებინა და პიჯაკის ჯიბეში ჩემი ტრუსიკი ჩავუდე, რომ შემდეგ ხუმრობით მისთვის ეჭვიანობის სცენა მომეწყო.
— მერე, გამოგივიდა ხუმრობა?
— ხუმრობა?! ყველაფერი აღიარა!

მამაკაცი ვეტერინარს ურეკავს და ეუბნება:
— ახლა თქვენთან ჩემი სიდედრი მოვა ძაღლთან ერთად და რაც შეიძლება ძლიერი შხამი მიეცით, რომ სწრაფად, ყოველგვარი ტანჯვის გარეშე მოკვდეს...
— კი ბატონო და შემდეგ ძაღლი თვითონ სახლს მოაგნებს?

უცხოელი რუსს ეკითხება:
— რუსებმა გამოიგონეთ „ბრაგა“, „სამაგონი“ და არაყი, მაგრამ რატომ ვერ შეძელით კონიაკისა და სამარკო ღვინოების შექმნა?
— რა სულელური შეკითხვაა. მაგეებს ხომ რამდენიმეწლიანი დაძველება სჭირდება!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## თათია შარანგია და სანდრო შელია დაშორდნენ



პიანისტი თათია შარანგია და მისი მეუღლე სანდრო შელია 10-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ ერთმანეთს დაშორდნენ.

ინფორმაცია სოციალურ ქსელში სანდრო შელიამ თავად გაავრცელა:

— იმისთვის, რომ არ გავრცელდეს ჭორები და მითქმა-მოთქმა, სჯობს, მე თვითონ ვიქნები პირველადი წყარო და გაგიზიარებთ, რომ ორიოდე თვეა, რაც მე და თათი დავშორდით. დარწმუნებული ვარ, გესმით, როგორი მძიმე იქნებოდა ამ 10-წლიანი ურთიერთობის დასრულება და, ამავე დროს, რომ ეს არის მტკივნეული, თუმცა კარგად გააზრებული გადაწყვეტილება.

ჩვენ ვრჩებით პარტნიორებად ჩვენი უმაგრესი ბიჭების აღზრდაში და ერთად თუ ცალ-ცალკე ყველაფერს გავაკეთებთ მათი ბედნიერებისთვის.

მადლობას მოვახსენებ მათ, ვინც გამიზიარა გულისწყვეტა და ასევე უდიდესი მადლობა ყველას, ვინც გვგულშემატკივრობდით ამ წლების განმავლობაში.

ეს ისტორია დასრულდა, თუმცა მე ვრჩები საქართველოში, ჩემს მშობლიურ ქვეყანაში, რომელშიც თავის დროზე სიყვარულმა დამაბრუნა. ვრჩები თქვენ გვერდით და მოქალაქედ, რომელიც არ დაიშურებს ძალასა და ენერგიას მეგობრებისთვის, მეზობლებისთვის, ჩვენი საქართველოს განვითარებისთვის.

პრესის საყურადღებოდ: აქ წერია ყველაფერი ის, რაც მინდოდა გამეზიარებინა საზოგადოებისთვის ამ საკითხთან მიმართებით და, შესაბამისად, თავს შევიკავებ რაიმე დამატებითი კომენტარისგან.

## ნუცა შანშიაშვილი: „ცხოვრება არის სიამოვნება!“



ასე მიაჩნია მომღერალ ნუცა შანშიაშვილს და ათასობით ერთგულ მსმენელს ამ ცხოვრებაში მაქსიმალურად დადებითი ენერგიის მიღებას ურჩევს:

— ყოველი დღე არის ღმერთის მიერ ნაჩუქარი დრო, მიხვდე, გააანალიზო და გაიგო, თუ რატომ ხარ აქ, ამ დედამიწაზე!

ხშირად მეკითხებიან, რა იყო, რატომ ხარ ასეთი უდარდელი და გახარებულიო?

მეგობრებო, ერთადერთი, ჩვენს ხელთ არის ის, შევძლებთ თუ არა ჩვენი პერსონის, თვისებების შეცვლას! შევძლებთ თუ არა, რომ ცხოვრება წარმოვსახოთ ჩვენს შემეცნებაში, როგორც ერთი დიდი დღესასწაული!

როდესაც ვზივარ სავარძელში და ვუყურებ ულამაზეს ზეცას, მწვანედ გაფურჩქნულ ხეებს და ამ დროს ვიღაცა გვერდით მჯდომი მიწყებს საუბარს: აუუუუ, ნახე იქ სალომემ, მაგალითად, რა ჩაიდინა? ოიოიოი და გიორგიმ უარესი... და საერთოდ, ლამარას, იცი, შენზე რა უთქვამს? ვეუბნები, გთხოვთ, ნუ მირღვევთ სილამაზისა და ბედნიერების აღქმას, ამწუთას მე განვიცდი სრული ეგზალტაციის აღქმის ჯადოსნურ წუთს და არ მაინტერესებს, ვინ რა თქვა ჩემზე და საერთოდ არანაირი ნეგატივი!

მენანება, გავაზიარო და დავხარჯო ერთი წამიც კი უაზროდ ამ ცხოვრებაში, რადგან ყველაფერი არის ბედნიერება და სიამოვნება!

ცხოვრება არის სიამოვნება! შეცვალე შენი შეხედულება და შეიცვლება სამყაროც შენ გარშემო!

## ვაჟა ფშაველას შესახებ მულტიმედიური გამოფენა მომზადდა



ვაჟა ფშაველას შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა ონლაინგამოფენა მულტიმედიურ ფორმატში მოამზადა.

ონლაინექსპოზიცია ეროვნულ არქივში დაცულ მრავალფეროვან მასალას მოიცავს — მისი დაბადების ჩანაწერს, ავტოგრაფულ ხელნაწერებს, ფოტოებს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში მის მოღვაწეობას, აუდიოწიგნებს, 100 წლის საიუბილეოდ 1961 წელს შექმნილ კინოსიუჟეტს, წიგნებსა და სხვა საარქივო მასალას.

მწერალი, პუბლიცისტი, დრამატურგი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე ვაჟა ფშაველა — ლუკა რაზიკაშვილი — თავის დაბადების თარიღად 1862 წლის 15 მაისს მიიჩნევდა. ამის მიუხედავად, დღემდე მის ბიოგრაფიაში დამკვიდრებული თარიღი 1861 წლის 14 ივლისია — ძველი სტილით.

წელს, 14 ივლისს, ვაჟა ფშაველას მშობლიურ ჩარგალში ტრადიციულად შეიკრიბნენ მისი შთამომავლები და შემოქმედების ერთგული მკითხველები. სახლ-მუზეუმში ღია ცის ქვეშ ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ მესხეთის თეატრმა წარმოადგინა.

## გიორგი ლობჟანიძის ლექსების იტალიური კრებული გამოცემულია



პოეტ გიორგი ლობჟანიძის ლექსების იტალიური კრებული გამოიცა. ლექსები ნუნუ გელაძემ თარგმნა. წიგნი ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით იტალიურ გამომცემლობა „ჯულიანო ლადოლფი ედიტორში“ დაისტამბა:

— რამდენიმე დღეა, საშინლად ცუდად ვარ. და უცებ ამ მწუხარებაში მაინც გამანათა სიხარულმა, როგორც ღვთის მიერ გამოგზავნილმა ნიშანმა — აქ და ახლა.

ამოვიდა სტამბიდან ჩემი ლექსების იტალიური კრებული „სიზმრის ნანგრევებში“, რომელიც იტალიურ გამომცემლობა „ჯულიანო ლადოლფი ედიტორეში“ დაისტამბა. მე ხელი ჯერ არ შემივლია. სურათები ამ წიგნის კონგენიალურმა მთარგმნელმა ნუნუ გელაძემ გადაიღო და გამომიგზავნა.

კრებულს ერთვის თვითონ ჯულიანო ლადოლფის ვრცელი წინასიტყვაობა, რომელიც ნუნუ გელაძემ უკვე თარგმნა ქართულად და მალე დაიბეჭდება.

არ ვიცი, რა შეედრება ამ სიხარულს, ამ ფაქტს, რომელიც გეუბნება, რომ უნდა იცოცხლო! უნდა იცოცხლო თუნდაც „სიზმრის ნანგრევებში“ და ზარდო შენი ცხადი და სინამდვილე — ყველასაგან მოწყვეტითა და განცალკევებით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი



18 ივლისისათვის

**ვერძი** — შესაფერისი დღეა ახალი საქმის დასაწყებად. პარტნიორების მხარდაჭერის იმედი გქონდეთ. **კურო** — ხელსაყრელი წინადადება თქვენს ინტერესს გამოიწვევს. ვარსკვლავები სამუშაო ადგილის შეცვლას ჯერჯერობით არ გირჩევენ. **ტყუპები** — წინდაუხედავად ნურავის ნურაფერს დაჰპირდებით. ეცადეთ, ჭორებს ყურადღება არ მიაქციოთ. **კირჩხიბი** — ფულსა და ენერგიას ფუჭად ნუ გაფლანგავთ. წარმატებას ზედმეტად ემოციურად ნუ მიიღებთ. **ლომი** — ფანტაზიას გასაქანი მიეცით. დღეს სიძნელეებს მარტივად გადალახავთ. **ქალწული** — საქმიანი შემოთავაზება სპონტანურად არ მიიღოთ. ჯერ დაფიქრდით და სიტუაცია აწონ-დაწონეთ. **სასწორი** — კარიერაში ცვლილებებია მოსალოდნელი. ჯანმრთელობას მიხედეთ. **ღრიანკალი** — საკუთარი შესაძლებლობები რეალურად შეაფასეთ. ისეთ საქმეს ნუ შეეჭიდებით, რომელშიც კარგად არ ერკვევით. **მშვილდოსანი** — საოჯახო საქმეებისთვის დრო გამონახეთ. ერიდეთ ცვლილებებს პროფესიულ სფეროში. **თხის რქა** — უფროსობა თქვენი აქტიურობით კმაყოფილია. ასე განაგრძეთ. **მერწყული** — დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე და სულგრძელობა. თავისუფალი დრო საყვარელ ადამიანთან გაატარეთ. **თევზები** — ზომიერად დაიტვირთეთ. ერიდეთ ფიზიკურ შრომას. სხვისი დახმარების იმედი დღეს ნუ გექნებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქალაქი ინდოეთში, სადაც განთავსებულია ტაჯ-მახალის ტაძარი; 2. გადასატანი მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური; 3. ცისკრის ვარსკვლავის ძველი ქართული სახელწოდება; 5. ოსური ცეკვა; 6. ცნობილი ქართველი ძიუდოს მსაჯი; 8. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 10. მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 12. თავხედური გულახდილობა; 14. ყვითელი ფერის დაბალი ხარისხის შაქარი; 15. მშიშარა, მხდალი, ლაჩარი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 16. დიდი ფართობის ვენახი.

**თარაზულად:** 1. ისტორიული ციხე-სიმაგრე მესხეთში; 4. წითელი ფერის ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 7. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 9. მაღალი კლასის ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 11. აქროლადი ნივთიერების კონცენტრირებული ხსნარი; 12. ვირტუოზი ქართველი ხელბურთელი; 13. „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 17. საგაზეთო პუბლიკაცია; 18. მუსლიმთა წმინდა ქალაქი საუდის არაბეთში; 19. მერყევი სხეულის უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან; 20. ძალიან იშვიათი ნივთი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

